გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

32

№ 1
(11 355)
ფასი 40 თეთრი

4 – 6 იანვარი, 2000 წ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსაჯობის ცოდნა ყველასთვის სასარგებლოა...

მე–3 გვ.

ერთვნული სტადიონის პრობლემებმა შეიძლება ოცნებები ჩაგვიმწაროს...

მე–3 გვ.

რუი კოშტა: „ჩემი ბავშვობის მეგობრები ირწმუნებიან, რომ არ შევცვლილვარ. უბრალოდ, ახლა გაცილებით მეტი ფული მაქვს“

იხ. მე–4 გვ.

„ლელოს“ ნომინაციები:

მე–2 გვ.:

ვანო ზოდელავა — წლის საუკეთესო სპორტის ქომაგი სახელმწიფო მოღვაწე

გოგი თოფაძე — 1999 წლის საუკეთესო სპონსორი

მე–4 გვ.:

გოლკიპერმა უკეთ იცის გოლკიპერის სისუსტეები და ამიტომ გადაწყვიტა დაარტყას 11-მეტრიანები

ეს უიღბლო დიდი ფეხბურთელი ანუ რობერტო ბაჯო ახლო პლანით

ნაწყვეტი გამოუქვეყნებელი წიგნიდან *იხ. მე–5 გვ.*

ბაკურიანი-2000

იხ. მე–6 გვ.



ბაკურიანი ზამთარში და ზაფხულში!

ყველა დროის!..

„არა მგონია, დღესაც კი, ვინმემ თქვას, რომ კორქის თამაში მოძველებული და უეფექტოა. სპორტულ ცხოვრებას დიდი დღე არ უწერია, სპორტული მოვლენები კი წამიერია. ფოტოსურათებზე, ტელე და კინოეკრანებზე ასახული ის მოვლენები, რომლებსაც ათიათასობით მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა, ხვალ გაფერმკრთალებული და მიამიტიც კი მოგეჩვენება. ამ მხრივ გამონაკლისია კორქის თამაში...

ოთარმა, რა თქმა უნდა, ახალი ეპოქა შექმნა კალათბურთში. ეს იყო სავსებით თანამედროვე ფორმაციის თავდამსხმელი“.

სურენ სკანდარიანი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,
40-50-იანი წლების ქვეყნის ნაკრების
უცვლელი მწვრთნელი.
(გაზეთი „სოვეტსკი სპორტ“, 1991 წ.)

იხ. მე–2–3 გვ.

ფეხბურთის ქართველმა გულშემატკივარმა აღმოაჩინა, რომ ორი ქართველის შეხმატკბილებულად

მუშაობის სურვილი ქართული საქმის სასიკეთოდ, უნიკალური მოვლენაა და არა მხოლოდ სპორტში... (მე–3 გვ.)

ისტორიული ფოტო საოჯახო ალბომიდან

იხ. მე–2 გვ.

15 წლის ქალიშვილის სპატიო ტვირთი...

იხ. მე–2 გვ.

ელცინი წავიდა! ის რუსეთის სპორტისთვის ნამდვილად სასურველი პრეზიდენტი იყო

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, აქტუალური ცხოვრებისეული თემების მაღალკვალიფიციურ დონეზე წარმოჩენაში, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრები. მათ შორის

ღირსების ორდენით:

ოთარ გელაშვილი — გაზეთ „ლელოს“ რედაქციის მიმომხილველი;
უშანგ ქიქინაძე — გაზეთ „ლელოს“ რედაქციის მიმომხილველი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი;
ვანდი ხანდამიშვილი — გაზეთ „ლელოს“ პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.

* **

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ძიუდოს განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი სპორტის დამსახურებული ოსტატი ***თეიმურაზ ხუბულური*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სახელმწიფო მინისტრის ფუნქციები გაფართოვდა, იქნებ სპორტის სასარგებლოდაც...

საქართველოს პარლამენტმა შესწორება შეიტანა საქართველოს კანონში „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“. ამ ცვლილებებით სახელმწიფო მინისტრს მთელი რიგი უფლებები მიენიჭა სახელმწიფო მმართველობაში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცვლილებამ, რომელიც შეეხება სოციალურ, ეკონომიკის, კულტურის, ჯანდაცვის, განათლების, ფისკალური პოლიტიკის საკითხებზე მთავრობის სხდომების მოწვევას და განხილულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებას. მართალია, სპორტი აქ არავის გახსენებია, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, მთავრობის ყურადღება არც ამ სფეროს მოაკლდება, მით უფრო, რომ საკითხების დღის წესრიგი პრეზიდენტს უნდა შეუთანხმდეს, პრეზიდენტი კი ქართული სპორტისადმი გულგრილი არასდროს ყოფილა. იმედია, არც სოციალურ, ჯანმრთელობისა და განათლების კომპლექსური პრობლემების განხილვისას გამორჩებათ სპორტი მხედველობიდან.

საუკუნის რჩეულნი

კაპიტანი – ოთარ ქორქია

მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი სენსაცია იყო ოლიმპიადების უცვლელი ჩემპიონის — ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა დამარცხება ფინალში სსრ კავშირის ნაკრებთან. გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ამ დრამატული მატჩის ფინიში, როცა ლენინგრადელ ა. ბელოვის წყალობით საფინალო სასტვენამდე ორიოდე წამით ადრე საბჭოთა სპორტსმენებმა გამარჯვება გამოსტაცეს უძლიერეს მეტოქეს და ჩემპიონის საპატიო ტიტული დაისაკუთრეს. მატჩის დასასრულის მაუწყებელი სირენის ხმაზე (დიახ, მხოლოდ იგი თუ გააგებინებდა აჟიოტაჟით მოცულ დარბაზს თამაშის დამთავრებას) მაყურებლებს ზორბა მამაკაცი მოსწყდა, ტრიბუნებს გადაევლო და სიხარულისაგან გაოგნებულ ამ მატჩის გმირებს მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცა.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — შესძახა მან და ყელში მობჯენილი მღელვარების ქამხა გადაყლაპა, შემდეგ მეტოქეთა ფარს გახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აღსრულდა!

ეს კაცი იყო ომისშემდგომი საბჭოთა კალათბურთის სულისჩამდგმელი და იმედი ოთარ ქორქია, რომლის თავკაცობით ყოფილი სსრ კავშირის სპორტის ისტორიაში არაერთი ოქროს ფურცელი ჩაწერილა.

იმ წუთებში ოთარს, პირველ ყოვლისა, 1952 წლის ზაფხული, კერძოდ, ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ცხარე დღეები გაახსენდა, როცა მან, კაპიტანმა თამაშების დებიუტანტი — სსრ კავშირის ნაკრები პირველად გაიყვანა „მესუჰალის" დარბაზის ოლიმპიურ სარბიელზე. უნდა ითქვას, რომ დებიუტანტს სულაც არ დაუტოვებია ისეთი შთაბეჭდილება, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, როცა იგი ყველასათვის ადვილ დასაჯაბნ მეტოქედ ითვლება. საქმე ის იყო, რომ იმხანად ჩვენში სპორტის ეს სახეობა უკვე პოპულარული ხდებოდა, რაშიც ისევ და ისევ ოთარ ქორქიას მიუძღოდა დიდი წვლილი. მან ხომ 1947 წელს შესანიშნავ ქართველ კალათბურთელ ნოდარ ჯორჯიკიასთან და სხვებთან ერთად ტრიუმფით განვლო კონტინენტის ჩემპიონატის ორთაბრძოლები. საბჭოთა ნაკრებმა იმხანად ჯერ სხვადასხვა ქვეყნის გუნდებს დააყრევინა ფარ-ხმალი, შემდეგ ფინალში დიდი ანგარიშით სძლია ჩეხოსლოვაკიელებს და ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა.

...1936 წლიდან, როცა კალათბურთი პირველად შეიტანეს ოლიმპიურ თამაშებში, გარდა ამერიკელებისა, სხვა ჩემპიონი ოლიმპიადას არ ახსოვდა. 1952 წლიდან კი იწყება საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების მეტოქეობა, სწორედ ოთარ ქორქია იყო ის ერთ-ერთი მაღალი ტანის მოთამაშე ჩვენს გუნდში, რომელმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია კალათბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს. და ვინ იცის, კაპიტნის ხელის ტრავმა რომ არა (რის გამოც მოედანი დატოვა), რით დამთავრდებოდა ის შეხვედრა 1952 წელს. მას შემდეგ „ოთარ ქორქიას გუნდს" (ასე უწოდებდა საბჭოთა ნაკრებს უცხოეთის პრესა) არაერთგზის გაუმარჯვნია როგორც ევროპის, ისე სხვადასხვა მასშტაბის საერთაშორისო სარბიელზე...

ეს გზა დიდი ასპარეზობისაკენ ოთარის მშობლიურ ქუთაისში თეითნაკეთი კალათითა და „ჭინჭის" ბურთით დაიწყო... ეზოს ბოლოში 13-14 წლის კანჭა ბიჭი მაუდის ნაჭრებისაგან შეკერილ ბურთს თავისი ხელით დამზადებულ და სახლის კედელზე მიმაგრებულ კალათას ესვრის. მალე ეს გატაცება სხვა თანატოლებსაც გადაედებათ, ისინი ქორქიების ეზოს შემოეჩვევიან.

— გავეჯიბროთ, ვინ უფრო მეტს ჩააგდებს ათი სროლიდან, — ამბობს ერთი. ისვრიან რიგრიგობით, ოთარი ყველას ჯობნის...

— ჩვენზე მაღალი ხარ, ბიძია და აბა რა იქნება, — ეუბნებიან მასპინძელს ამხანაგები.

პასუხად მასპინძელი ორივე მუხლზე იჩოქებს და კვლავ ზუსტად და ზედიზედ ათავსებს ბურთს კალათში.

— ახლაც მაღალი ვარ? — ნიშნისმოგებით მიმართავს იგი მეგობრებს და მიწით მოსვრილ მუხლისთავებს იწმენდს. ბიჭებს სხვა რა გზა აქვთ, ფარ-ხმალს ყრიან

როცა ქალაქის სპორტსკოლაში მოზარდ-კალათბურთელთა გუნდი ჩამოყალიბდა, ამ გუნდის წევრს შოთა ქორქაშვილს გაახსენდა ოთარი და იგი მწვრთნელ გივი კილაძეს წარუდგინა. სწორედ ამ ალღოიანმა კაცმა ამოიცნო ბიჭში ნამდვილი კალათბურთელი. მალე 14 წლის ყმაწვილი ალეკო მესხმა სპორტსკოლის პირველ გუნდში მიიწვია, 1937 წელს კი ოთარ ქორქია საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე ქუთაისის ღირსებას იცავდა.

იქიდან მოყოლებული ოთარი მთელი არსებით ებმება კალათბურთში, წარმატებას წარმატება მოსდევს და ჭაბუკი, როგორც იტყვიან, გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს მწვერვალისაკენ და მაინც, მის ცხოვრებაში გაჩნდა მომენტი, როცა არჩევანის წინაშე დადგა. საქმე ის იყო, რომ ქორქიას მძლეოსნობაშიც, კერძოდ, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაშიც გარკვეული წარმატებები ჰქონდა და 1939 წელს ჭაბუკთა საკავშირო რეკორდებიც დაამყარა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჭოჭმანი დიდხანს არ გაგრძელებულა — ოთარმა საბოლოო არჩევანი მაინც კალათბურთზე შეაჩერა.

1944 წელს მან საკავშირო სარბიელზე მიიღო საბრძოლო სპორტული ნათლობა. ეს იყო სსრ კავშირის XI ჩემპიონატი. მაშინ ქუთაისის „დინამომ", რომლის რიგებში ო. ქორქია თამაშობდა, პირველი ადგილი დაიკავა, ერთ-ერთ ქვეჯგუფში, დაამარცხა ქვეყნის რამდენიმე აღიარებული კოლექტივი, მაგრამ უძლიერესთა ფინალში, გამოუცდელობის გამო, ორი შეხვედრა მინიმალური ანგარიშით წააგო და საერთო მეოთხე ადგილზე გავიდა. მომდევნო წელს ქუთაისის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის 8 ქალაქის ტრადიციულ მატჩში (იმართებოდა მაშინ ასეთი შეჯიბრება) და უკან ჩამოიტოვა თბილისის, ტალინის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების ძლიერი კოლექტივები.

ამ თამაშებს ოთარ ქორქიასთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მას შესაძლებლობა მიეცა პირისპირ შეხვედროდა უძლიერეს კალათბურთელებს. 1946 წლიდან ოთარი თბილისის „დინამოშია". 1947 წელს კი იგი საბჭოთა ნაკრების წევრად მიიღეს. დიახ, სულ მოკლე ხანში ქართველმა ჭაბუკმა ასეთი ფანტასტიკური ნახტომი გააკეთა. რა შესანიშნავად უნდა ეთამაშა მას, რა დიდი პოპულარობა და სახელი უნდა მოეპოვებინა თანაგუნდელებში, მეტოქეებსა და მწვრთნელებში, რომ ასეთი აღიარება რგებოდა წილად — ქვეყნის ღირსების დაცვა მიენდოთ ისეთ საპასუხისმგებლო საერთაშორისო შეჯიბრებაში, როგორიც ჩეხოსლოვაკიაში გამართული ევროპის ჩემპიონატი იყო. ეს იყო საბჭოთა კალათბურთის დებიუტი ოფიციალურ ტურნირში, ჩემპიონატის დღეებში მთელმა სპორტულმა სამყარომ ირწმუნა ამ გუნდის სიძლიერე, ამაში ი. ლისოვთან, ი. კულამთან და სხვებთან ერთად მიუძღოდა დიდი წვლილი ოთარ ქორქიას.

„საბჭოთა სპორტსმენები ჩეხოსლოვაკიელებს ასწავლიან კალათბურთის თამაშს", „სსრ კავშირის ნაკრები რაინდულად იბრძვის". ევროპის ჩემპიონატის ტიტული დამსახურებუ-

იხ. მე-3 გვ.

„ლელოს" ნომინანტები და 1999 წლის ლაურეატები

1997 წლიდან მოყოლებული ჩვენი გაზეთი ყოველი გასული წლის შედეგების მიხედვით ავლენს გამარჯვებულებს ცალკეულ ნომინაციებში.

1999 წელს ჩვენი ლაურეატები გახდნენ და „ლელომ" გამარჯვებულად სცნო:

რეგიონებს შორის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე თენგიზ ბოლქვაძე).

საქალაქო სპორტულ ორგანიზაციებს შორის

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო (უფროსი ვლადიმერ კანკავა).

რაიონულ სპორტულ ორგანიზაციებს შორის

მცხეთის რაიონის სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე ვიტალი გრძელიშვილი)

სპორტულ ფედერაციებს შორის

ჭიდაობა სუმოს ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე).

უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბებს შორის

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია (რექტორი ომარ გოგიაშვილი, სპორტკლუბის თავმჯდომარე ჰამლეტ ათაბეგოვი).

სპორტული პროფილის სასწავლებლებს შორის

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვი სასწავლებელი (დირექტორი მერაბ მეტრეველი).
ქუთაისის სპორტული ლიცეუმი (დირექტორი თამაზ ჭაბუკიანი, სასწ. ნაწილის გამგე გივი კიკვიძე).

ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებს შორის

თბილისის ჩუღურეთის რაიონის სპორტული სკოლა (განათლების განყოფილების გამგე მანანა ავალიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი მიხეილ სუმბათიანი).

სპორტულ კლუბებს შორის

მოჭიდავეთა სპორტული კლუბი „თბილისი" (დირექტორი ოთარ ტატიშვილი).

სპეციალიზებულ სპორტსკოლებს შორის

თბილისის მერიის ჭიდაობის სპორტული სკოლა (დირექტორი დავით დავითაია).

პერსპექტიული გუნდი

წყალბურთში საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები (მწვრთნელები სოსო მაისურაძე, ირაკლი კიკალიშვილი).

წლის საუკეთესო სპონსორები

გოგი თოფაძე, ლადო კვარაცხელია, დათო რურუა.

წლის საუკეთესო სპორტის ქომაგი სახელმწიფო მოღვაწე

ვანო ზოდელავა — თბილისის მერი.

ტრადიციის ესტაფეტა

მის ასაკში, ამდენისთვის ჯერ არავის მიუღწევია

სოფიკო ხუხაშვილი

სოფიკო ხუხაშვილმა ჯერ კიდევ სრულიად ნორჩმა, ხმაურით შეაბიჯა საქართველოს საჭადრაკო სამყაროში. დღეს, 4 იანვარს, სოფიკო 15 წლის გახდა, თუმცა 2000 წელს იგი 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონისა და ევროპის მაკაბიადის ჩემპიონის ტიტულებით შეეგება. ამასთან, საქართველოში 14 წლის ასაკში ჯერ არავის მოუპოვებია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა ორ ასაკში – 16 და 20 წლის ასაკის გოგონათა შორის. სოფიკო ხუხაშვილმა თავისი წარმატებებით კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ქართული და ებრაელი ხალხების ურთიერთობის 26 საუკუნოვან ისტორიაში.

სოფიკოს პირველი მწვრთნელი ცნობილი სპეციალისტი შამილ დასნი იყო, მაგრამ ვიდრე 7 წლისა ამ ალმზრდელთან მოხვდებოდა, ჭადრაკის თამაში შინ მშობლებმა შეასწავლეს. მოსწავლეთა და ახალგაზრდობის სასახლის ჭადრაკის სექციიდან პირველი მწვრთნელის რჩევით, ჭადრაკის სასახლეში გადაიყვანეს, სადაც მის დაოსტატებას ჯერ რაჩიკ ქარქაშაშვილმა მოჰკიდა ხელი, ამჟამად კი ლაშა ჯანჯღავა ავარჯიშებს.

სპორტულ სარბიელზე გამოსვლა სასკოლო პირველობებიდან დაიწყო, შემდეგ იყო ტურნირები, მსოფლიო რანგის შეჯიბრებები.

ერთი შეხედვით სკოლის ჩვეულებრივი მოსწავლე (სწავლობს 117-ე საშუალო სკოლაში) თანატოლთა შორის გამორჩეული მოზარდია, მაგრამ არა მხოლოდ სპორტული პროფილით, იგი თბილი, მეგობრებისა და უფროსების მოყვარული სათნო გოგონაა. უახლოეს მეგობრად დედას მიიჩნევს, თბილისის გარდა კი ცხოვრება ვერსად წარმოუდგენია.

ქეთინო კაზალიკაშვილი

ისტორიული ფოტო საოჯახო ალბომიდან



ეს ჯგუფური ფოტო გადაღებულია თბილისში ლენინის სახელობის მოედანზე 1930 წელს ერთ-ერთი კალენდარული საფეხბურთო მატჩის წინ. საგაზაფხულო პირველობის გათამაშების ამ მატჩში „ქართული მუშფაკი" შეხვედრია „ავჭალის წყალსადენს". 2-1 გაუმარჯვნია „მუშფაკს". სურათზე სწორედ ეს გუნდია ასახული. მარცხნიდან — დგანან 1. დავით ცომაია (მსაჯი), 2. გაბლიანი, 3. გიორგი ლექავა (შემდეგში ცნობილი ველომრბოლი), 4. ლეო ორახელაშვილი, 5. მუშფაკელი სტუდენტი, 6. ლეო ციციშვილი; წინა რიგში: 7. მუშფაკელი სტუდენტი, 8. ავალიანი, 9.მუშფაკელი (მიხეილი), 10. მუშფაკელი, 11. შურა რატიანი, 12. ბიძინა ქელბაქიანი.

მკითხველს ვთხოვთ დაგვეხმაროს გუნდის უცნობი წევრების დადგენაში.

ლელო მატიანე 50 წლის წინათ

- „აჭარაში 1949 წელს მოეწყო 4 ახალი სპორტული დარბაზი და 159 მარტივი ტიპის ფიზკულტურული მოედანი. ბათუმის ლ.პ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკში — კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი".
- მძლეოსნობაში დამყარდა აჭარის 63 რეკორდი. ტ. სამუშიამ 20 კმ-ზე რბენაში გზატკეცილის პირობებში რესპუბლიკაში საუკეთესო შედეგი აჩვენა".
- „წყალჯომარდობაში დამყარებულია 8 ახალი რეკორდი. ბათუმის მოცურავეთა გუნდი საქართველოს ჩემპიონია".

ყველა ინფორმაცია გამოქვეყნდა 1950 წლის 6 იანვრის „ლელოში"

გამოიწერეთ ლელო

ფეხბურთის ცოდნა. მისი წესების ცოდნაცაა

250 და კიდევ რამდენიმე პასუხი ფეხბურთის წესებზე

უცნაური ბედი დაჰყვა ფეხბურთს. უბრალო გასართობი თამაშიდან იგი მსოფლიო მოვლენად იქცა და საუკუნეზე მეტია აღელვებს უკვე მილიარდობით გულშემატკივარს. რაც უფრო პოპულარული ხდებოდა ეს თამაში, მით უფრო იზრდებოდა წესების შემოღებისა და შემდგომში მისი განუწყვეტლივ დახვეწის აუცილებლობა.

1863 წელს, ფეხბურთის სამშობლოში, თამაშის პირველი წესები ოფიციალურად დაამტკიცეს. ის პირველი წესები იქცა ყველა შემდგომი ცვლილებების საფუძვლად. მას შემდეგ რაც ჯერ ფეხბურთის მმართველობის საერთაშორისო ასოციაცია, შემდეგ კი 1904 წელს ფიფა შეიქმნა, ფეხბურთის თამაშის წესების დახვეწას ორგანიზებული ხასიათი მიეცა. დღეს წესები იმდენად სიღრმისეული და მასშტაბურია, ძნელად თუ მოიძებნება გულშემატკივარი, ყველაფერში რომ ერკვეოდეს. ხშირად ხომ თვით მსაჯებიც სცდებიან. „ლელომ" გადაწყვიტა ერთხელ კიდევ მიაპყროს ფეხბურთის ქომაგების ყურადღება თამაშის წესებს. მით უფრო, რომ პასუხები უამრავ შეკითხვებზე შეიმუშავეს ფეხბურთის სპეციალისტებმა – სფფ-ს სამსაჯო-საინპექტორო კომიტეტიდან. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული კითხვა-პასუხი დაეხმარება არა მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრებს, არამედ სპეციალისტებს, მსაჯებს, მწვრთნელებს, საფეხბურთო მოედნების ხელმძღვანელებს და თვით ფეხბურთელებს. მაშ ასე:

წესი I – სათამაშო მინდორი

1. როგორია ფეხბურთის მინდვრის ზომები?

– სათამაშო მინდორი წარმოადგენს სწორკუთხედს, რომლის სიგრძეა 90 - 120 მ. სიგანე 45-90 მ. საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად მინდვრის სიგრძე უნდა იყოს 100-110 მ. სიგანე 64-75. სიგრძე ყოველთვის უნდა აღემატებოდეს სიგანეს.

2. როგორი უნდა იყოს საფეხბურთო მინდორი?

– საფეხბურთო მინდორი უნდა იყოს სწორი, გარეშე საგნები, რომლებიც სახიფათოა მოთამაშისათვის, მინდორზე არ უნდა გვხვდებოდეს, ბალახიანი მინდორი სათამაშოდ საუკეთესოა.

3. ვინ აგებს პასუხს მინდვრის მომზადებაზე?

– სტადიონის ადმინისტრაცია.

4. ვინ ამოწმებს მინდვრის ვარგისიანობას თამაშის წინ?

– მსაჯი.

5. რომელი ხაზები მოინიშნება სათამაშო მინდორზე?

– საფეხბურთო მინდორზე მოინიშნება შემდეგი ხაზები: ორი ხაზი, რომელიც განსაზღვრავს მინდვრის სიგანეს; ორი ხაზი – სიგრძის განმსაზღვრელი. შუა ხაზი, რომელიც მინდორს ყოფს ორ ნახევრად, საჯარიმო მოედნის განმსაზღვრელი ხაზები, კარის ბაქნის განმსაზღვრელი ხაზები; ცენტრალური წრეხაზი; ოთხი კუთხური სექტორი; თერთმეტმეტრიანი დარტყმის ადგილის მონიშვნის ორი წერტილი, ორი რკალი საჯარიმო მოედნების წინ, მოთამაშეთა განლაგებისათვის 11-მეტრიანი დარტყმის შესრულების დროს.

6. რომელი ფერის საღებავით ხდება მინდვრის დახაზვა?

– მინდვრის დახაზვა უმჯობესია საღებავით, რომელიც განსხვავდება გრუნტის ფერისაგან. ყველაზე უკეთესია გამოვიყენოთ ცარცი. დათოვლილ მინდორს ხაზავენ ცისფერი საღებავით.

7. შეიძლება თუ არა მინდვრის დახაზვა ჩაუმქრალი კირქვით?

– არა.

8. რა ზომის უნდა იყოს ხაზის მაქსიმალური სიგანე?

– 12 სმ.

9. შეიძლება თუ არა მინდვრის დახაზვა წყვეტილი ან პუნქტირული ხაზებით?

– არ შეიძლება.

10. შეიძლება თუ არა იმ მანძილის მონიშვნა, რომელიც უნდა დაიცვას მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეებმა კუთხური დარტყმის შემთხვევაში?

– შეიძლება. თუ მონიშვნა ხდება სათამაშო მოედნის ფარგლებს გარეთ 9 მ 15 სმ მანძილზე კუთხური სექტორის რკალიდან.

11. თუ მეკარე ფეხით აკეთებს დაუშვებელ მონიშვნას მინდორზე, რა უნდა მოიმოქმედოს მსაჯმა?

– თუ მსაჯი ამ დარღვევას შეამჩნევს თამაშის დაწყებამდე, მან დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილოს მეკარე. თუ მსაჯი ამ დარღვევას შეამჩნევს თამაშის მსვლელობის მომენტში, მაშინ გაფრთხილება უნდა მიეცეს თამაშის გაჩერების შემდეგ.

12. შედის თუ არა ხაზის სიგანე მოედნის და დანარჩენი შემოსაზღვრული ფართობების ზომებში?

– შედის.

13. რა ეწოდება სათამაშო მინდვრის შემომსაზღვრელ ხაზებს?

– გრძელ შემომსაზღვრელ ხაზებს ეწოდება გვერდითი ხაზები. მოკლე შემომსაზღვრელ ხაზებს – კარის ხაზები.

14. რა დანიშნულება აქვს მინდვრის ცენტრალურ წრეხაზს და შუა ხაზს?

– ცენტრალური წრეხაზის დანიშნულებაა მოთამაშეთა განლაგება საწყისი დარტყმის მომენტში, შუახაზს კი დამატებით „თამაშგარე" მდგომარეობის განსაზღვრისათვის თამაშის მსვლელობისას.

15. რა ზომის უნდა იყოს ალმები?

– 1. ალმის ტარის სიგრძე არანაკლებ 1,5 მ.

– 2. თვითონ ალმის ზომები 35-45 სმ.

16. შეიძლება თუ არა თამაშის ჩატარება კუთხური ალმის გარეშე?

– არ შეიძლება.

17. რა დანიშნულება აქვს შუა ხაზისწინა ალმებს?

– ეს ალმები მოედანს ყოფს ორ თანაბარ ნაწილად და წარმოადგენს დამატებით ორიენტირს „თამაშგარე" მდგომარეობის განსაზღვრის დროს.

18. შეიძლება თუ არა თამაშის ჩატარება იმ ალმების გარეშე, რომლებიც დაყენებულია შუა ხაზის და გვერდითი ხაზის გადაკვეთაზე 1 მ დაშორებით მოედნის ფარგლებს გარეთ?

– შეიძლება.

19. აქვთ თუ არა ფოტორეპორტიორებს უფლება იყვნენ კარების უკან თამაშის დროს?

– უფლება აქვთ, მხოლოდ ფოტორეპორტიორების ხაზის გარეთ.

(გაგრძელება იქნება)

გამოხმაურებები წერილზე „რატომ შევაშფოთა ნაკრებში ორი მწვრთნელის დანიშვნამ?"

ეს წერილი „ლელოს" გასული წლის 99-ე ნომერში გამოქვეყნდა და უმალვე მოჰყვა რეაგირება, ძირითადად, ქართული ფეხბურთის ქომაგთა მხრიდან. იყო უამრავი სატელეფონო ზარი, მივიღეთ წერილებიც. ვინც შეგვეხმიანა, მეტწილად იზიარებდა ჩვენს პოზიციას იმის თაობაზე, რომ ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებში ორი მწვრთნელის დანიშვნა სულაც არ არის საგანგაშო, მით უფრო, რომ დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა თავად მიიღეს ნაკრებში ერთად მუშაობის გადაწყვეტილება. ეს ხომ იძულებითი სამუშაო არ არის. განსაკუთრებით მოგვეწონა ერთი ავტორის აზრი, რომელიც აგერ, სათაურში გამოგვაქვს:

„საქართველოში თუნდაც ორი კაცი თუ ერთნაირად აზროვნებს და თანხმობით მუშაობა სურთ - უნდა გვიხაროდეს!"

ძვირფასო ლელოელებო!

გამოგიტყდებით, მეც თქვენნაირად ვფიქრობ და მივესალმები ჩვენს ნაკრებში ორი მწვრთნელის დანიშვნას, მაგრამ, ვისაც კი ხმამაღლა გავანდე ჩემი აზრი, მივხვდი, რომ ზოგს არ სჯერა, ორი მწვრთნელის ნაკრებში მოსვლა პრობლემებს თუ გადაჭრის. „ურწმუნოებს" დაუჯინიათ, გინდა თუ არა, ერთი უნდა იყოს პასუხისმგებელი, ორი კაცის უფროსობა სად გაგონილაო. ვიმეორებ, მე ასე ვფიქრობ, საქართველოში ბევრი სიძნელეები სწორედ გათითოკაცოებამ და მოჩვენებითმა პერსონალურმა „პასუხისმგებლობამ" შექმნა. იქნებ სწორედ ფეხბურთმა დაუდოს სათავე თანადგომით და ერთიანი პასუხისმგებლობით მუშაობას. საქართველოში თუნდაც ორი კაცი თუ ერთნაირად აზროვნებს და თანხმობით მუშაობა სურთ — უნდა გვიხაროდეს! მე ღრმად მჯერა, რომ ყიფიანი და ძოძუაშვილი უარესს არაფერს გადაჰყრიან ქართულ ფეხბურთს, უკეთესობა კი ნამდვილად იქნება.

პატივისცემით **ბიბლა კალანდაძე**

თბილისი, მათემატიკოსი

რა ორხელისუფლებიანობაზეა ლაპარაკი...

„ორხელისუფლებიანობას" ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ასე ხსნის: „ერთ სახელმწიფოში (ან ორგანიზაციაში) ერთდროულად ორი ხელისუფლების არსებობა." არა მგონია ორხელისუფლებიანობა მისი კლასიკური გაგებით შინაარსით ესადაგებოდეს ყიფიან-ძოძუაშვილის საქმიანობას ეროვნულ ნაკრებში. ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან. ე.ი. გამორიცხულია „ალმახვნა და დალმა ფარცხვა". ორი ჭკვიანი კაცის, ამ შემთხვევაში ორი გონიერი და ფიქრიანი მწვრთნელის შეთანხმებულ მოღვაწეობას ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ მხოლოდ უნდა მივესალმოთ. მე და ჩემნაირები მივესალმებით კიდეც.

ვაჟა გურეშიძე,

თბილისი, პედაგოგი.

არ გვჯერა და რა ვქნათ...

ვერ დავეთანხმებით უსაფუძვლო ოპტიმიზმს. რამდენიც უნდა გვიკიჟინონ, განსაკუთრებით სფფ-დან, ვერ დავიჯერებთ, რომ ერთი მწვრთნელის პასუხისმგებლობის ორზე გადანაწილება გამოსავალია. ესაა ძირეული პრობლემებიდან ყურადღების გადატანა, რაღაც ბუნდოვანზე, რომელიც, რით დამთავრდება არავინ უწყის. ნაცვლად იმისა, რომ ვიმსჯელოთ (ყველამ ერთად) იმაზე, თუ რა იხსნის ქართულ ფეხბურთს, იმაზე ვპაექრობთ, ორი მწვრთნელის დანიშვნა ერთ ნაკრებში, კარგია თუ ცუდი. ერთი და მტკიცე, თავდაჯერებული ხელმძღვანელი, აი, ეს არის ჩვენი აზრი. რაც გინდათ ის თქვით, ჩვენ არ გვჯერა გაორებული პასუხისმგებლობის. ორი ძალა კარგია ერთ უღელში. მაგრამ ქართული ფეხბურთი ხომ ურემი არ არის. ურემზე გაგვახსენდა, ხომ ნათქვამია: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო". ვნახოთ ბატონებო!

ბია ტიტვინიძე, მალხაზ ბოდაველი. (თბილისი)

დროა ვისწავლოთ რუბიკონის გადალახვა

ორი მთავარი მწვრთნელის დანიშვნა საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის სათავეში აბსურდული რომ არის ეს იციან თვით დამნიშვნელებმაც და დანიშნულებმაც, რომ არაფერი ვთქვათ, ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებზე.

ფეხბურთის სტრატეგია კომპრომისს და სიყალბეს ვერ იტანს, ის თავიდანვე იჩენს თავს. ფეხბურთი არც დადგმული სპექტაკლია (არ ვგულისხმობ ჩაწყობით თამაშებს) და არც მხატვრული ნაწარმოები. დიდ ფეხბურთს, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთი სტრატეგი სჭირდება, დამხმარე მწვრთნელი კი — რამდენიც გნებავთ.

ფედერაციამ რუბიკონი ვერ გადალახა. ეს თვით მწვრთნელებმა უნდა შეძლონ. ერთ-ერთი ვარიანტი: მწვრთნელებმა უნდა მოაწყონ კენჭისყრა მთავარი სტრატეგის ვინაობაზე მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებისათვის. ევროპის ჩემპიონატის ციკლში შეენაცვლნონ, თუ ფეხბურთის ფედერაცია თანახმა იქნება. ცხოვრება შეჯიბრებაა, მით უმეტეს ჯანსაღი სპორტული ცხოვრება. ჩვენში ბევრია ნიჭიერი სპეციალისტი. თითოეულმა უკვე დაამჩნია ღრმა კვალი ქართულ ფეხბურთს.

დროა, ქართველი ფეხბურთელების ამ ნიჭიერ თაობასაც მიეცეს საშუალება, თავისი სიტყვა თქვას ეროვნულ ნაკრებში. პოტენციალი დიდია, მას სწორი გამოყენება უნდა.

პაატა სხირტლაძე (თბილისი).

ფეხბურთის გულშემატკივარი.

P.S. *ბოდიშს ვუხდი მწვრთნელებს, რომ ვერ მოვიხსენიებ სახელებით.*

ეროვნული სტადიონი ახალ წელს ძველი პრობლემებით შეხვდა

ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის პრობლემებს ბოლო არ უჩანს, ვგულისხმობთ, როგორც ქვეყნის ამ უპირველესი სპორტული არენის irგვლივ აყვავებული ბაზრობის შემადგენელ ნაწილად გადაქცევას, ისე მის გაჭიანურებულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და თვით ბაზის კომპლექსურ ექსპლოატაციას. ყველა ამ საკითხის მოგვარება, სამწუხაროდ, ძველმა წელმა ახალს გადაულოცა, თუმცა, ძალზე საეჭვოა, ყველაფერი წლეულს მოგვარდეს და უკვე ახალი საუკუნის თავსატეხად არ იქცეს. კვლავ გრძელდება დავა, თუ ვინ რამდენი უნდა გაიღოს მთავარი პრობლემის – სტადიონის რეკონსტრუქციის საკითხის გადასაჭრელად. ფიფა-უეფა მხარში კი გვიდგანან, მაგრამ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამაც, კერძოდ, ქალაქის მერიამ უნდა გამოყოს თანხები, როგორც ჩანს, ის რაც უკვე მერიამ გაიღო საკმარისი არ არის, არც სპონსორი ჩანს და თუ იმის იმედად დავრჩით, როდის გამოჩნდება, ის ვადებიც ხელში შემოგვადნება, რაც უპირველესი მოთხოვნის სავარძლებისა და განათებისთვისაა დათქმული. თუ სექტემბრამდე ეს საკითხები არ მოწესრიგდა, ფიფა – უეფას სანქციები, რაც ეროვნული ნაკრების საკუთარ სარბიელზე აკრძალვას ნიშნავს, გარანტირებული გვაქვს.

მაგრამ მხოლოდ სავარძლები და განათება არაა მთავარი, ჩვენი დედასტადიონი, საერთოდ, მისახედია...

კაპიტანი – ოთარ ქორქია

(მეორე გვერდიდან)

ლად მოიპოვეს კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელებმა" — ასე წერდა მაშინ საზღვარგარეთის პრესა საბჭოთა ნაკრების გამოსვლაზე. კალათბურთის სპეციალისტები აღტაცებული იყვნენ ქორქიას ოსტატობით, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელებთან 56-დან 25 ქულა შესძინა კოლექტივს.

აქედან იწყება საბჭოთა კალათბურთის ნამდვილი ტრიუმფური სვლა მსოფლიოს დარბაზებსა და სტადიონებზე. ნაკრების ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი სწორედ ო. ქორქიას შეჰქონდა. 1948 წელს — ტურნე პოლონეთის ქალაქებში, 1949 წელი — პირველი ადგილი ბუდაპეშტის მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალზე, 1950 წელი — გამგზავრება ჩინეთში, 1951 წელი — პირველი ადგილები ევროპის ჩემპიონატში, ბერლინის მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალზე. ამ ხნის განმავლობაში სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა 130-მდე საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა და თითქმის ყველა თამაში მოიგო. აქ კვლავ ოთარ ქორქიამ ისახელა თავი. „ისწავლეთ საბჭოთა კალათბურთელებისაგან, განსაკუთრებით თვალ-ყური ადევნეთ ქორქიას თამაშს", — წერდა ერთ-ერთი ფინური გაზეთი.

ევროპის 1951 წლის ჩემპიონატს საფრანგეთის დედაქალაქი მასპინძლობდა. რა თქმა უნდა, იქაურ ნაკრებს უდიდესი სურვილი ჰქონდა საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ დაუფლებოდა ოქროს მედლებს. ფრანგებმა აშკარად ვერ შეაფასეს ძალა საბჭოთა ნაკრებისა, რომელმაც ამჯერადაც ტრიუმფით განვლო ყველა შეხვედრა და კვლავ უძლიერესის სახელი მოიპოვა. ამის შემდეგ სახელგანთქმულ ფრანგ კალათბურთელ ფრეზოს წვერი მოუშვია და უთქვამს: მანამდე არ მოვიპარსავ, სანამ ევროპის ჩემპიონები არ გავხდებითო. მომდევნო ტურნირში ფრეზო მწვრთნელად ჩამოჰყოლია ეროვნულ გუნდს. მას წვერი უკვე მკერდამდე სცემდა, საბჭოთა ნაკრები კი, რომლის გამარჯვებებს საერთაშორისო სარბიელზე ოთარ ქორქიამ ჩაუყარა საფუძველი, დიდხანს ინარჩუნებდა კონტინენტის უძლიერესის სახელს.

...ალბათ, ბევრმა არც კი იცის, თუ რატომ არის ჩვენთვის კალათბურთი ასე ძვირფასი. ჭიდაობისა და მძლეოსნობის გარდა, ქართული სპორტის არც ერთ სახეობას არ მოუტანია იმდენი სასახელო გამარჯვება და მედალი, რაც კალათბურთის ანგარიშზე მოდის. ამ წარმატებათაგან მრავალი ორი შესანიშნავი სპორტსმენის — ნოდარ ჯორჯიკიასა და ოთარ ქორქიას სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ ორმა ვაჟკაცმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ კალათბურთს. ჩვენს რესპუბლიკას ჯერ ნოდარმა მოუტანა ჩემპიონობა. ეს მოხდა 1944 და 1946 წლებში, როცა იგი თბილისის ოფიცერთა სახლის სახელით გამოდიოდა, შემდეგ 1950, 1953 და 1954 წლებში, თბილისის „დინამომ", რომლის უცვლელი კაპიტანი იყო ო. ქორქია, სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. გარდა ამისა, დინამოელებმა 1949, 1950 და 1951 წლებში ქვეყნის თასი დაისაკუთრეს, „დინამო" იყო აგრეთვე საკავშირო ტურნირებისა და პირველობების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი. სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ო. ქორქიამ ხელი მოჰკიდა მწვრთნელობას და სათავეში ჩაუდგა მშობლიურ „დინამოს", რომელმაც სხვა მრავალ გამარჯვებასთან ერთად 1962 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი ჩამოიტანა თბილისში.

ოთარ ქორქიამ ქართულ კალათბურთში წარუშლელი კვალი დატოვა, რისთვისაც იგი ორიათასწლეულის მიწურულს ყველა დროის საუკეთესო ქართველ კალათბურთელად დასახელდა. რა თქმა უნდა, თუ არა მას, მაშ, ვის უნდა აღელვებდეს განსაკუთრებით, რომ ჩვენში სპორტის ეს სახეობა დაღმავლობის გზაზეა. ამიტომ უძლიერეს კალათბურთელად აღიარების მილოცვასთან ერთად, ვთხოვე თავისი აზრი გამოეთქვა ქართული კალათბურთის დღევანდელობაზე.

— ეს იმდენად ბევრისმომცველი თემაა, — თქვა ბატონმა ოთარმა, რომ იგი კალათბურთის სპეციალისტთა სერიოზულ განსჯას მოითხოვს, სპეციალისტები იმიტომ ვახსენე, რომ დღეს ჩვენი კალათბურთის მართვის სადავეები არაკომპეტენტურ, ამ თამაშთან ძალზე შორს მდგარ ხალხს უპყრია ხელთ, რომელთაც სხვა გამოსავალი რომ ვერ გამონახეს, გადაწყვიტეს სხვისი მიბაძვით, კერძოდ, NBA-ს, ყაიდით წარემართათ ქართული კალათბურთი. ყოველგვარ მიმბაძველობას მაშინ შეიძლება მოჰყვეს წარმატება, როცა ამის სათანადო საფუძველი არსებობს. ჩვენ კი ამისთვის მზად არ ვიყავით. ამ მიბაძვას იმით ხსნიან, რომ თამაშების რაოდენობა გაზრდილიყო. კი, სპორტში წინსვლას ასპარეზობა განაპირობებს, როცა სხვადასხვა ხელწერის მეტოქესთან გაქვს საქმე. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ზედგამოჭრილია „პლეი-ოფის" შეხვედრებიც, სადაც, ვთქვათ, ოთხი დივიზიონის წარმომადგენლებს, ე.ი. სხვადასხვა ყაიდის გუნდებს ხვდები. მაგრამ როცა ქართული „პლეი-ოფში" იმავე გუნდებთან გაქვს საქმე, რომლებსაც მანამდე კალენდარულ მატჩებშიც გქონდა საშუალება დაპირისპირებოდი, საეჭვოა, რომ მათ ბოლო სერიაში რაიმე სიახლე შემოგვთავაზონ. ამიტომ უკვე „პლეი-ოფიც" მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და ამდენად ამ ვითარებაში ყოველგვარ ზრდაზე ზედმეტია ლაპარაკი. ამასობაში კი გუნდს, კერძოდ კი მის მწვრთნელს, იმის დრო და საშუალება აღარ რჩება, რომ, ვთქვათ, ჩემპიონატის სტარტზე შემჩნეული რაიმე ტაქტიკური ხარვეზის აღმოფხვრის საშუალება მიეცეს, რათა გუნდმა სრულ მზადყოფნაში განაგრძოს პირველობა.

ვიმეორებ, ეს მხოლოდ, მართალია, მნიშვნელოვანი, მაგრამ იმ ნაკლოვანებათა ერთი მხარეა, რაც ჩვენს კალათბურთს დღეს აქვს. ამიტომაც ვამბობ — საჭიროა უფრო ფართო მსჯელობა იმ პრობლემებზე, რაც თავსაყრელად გვაქვს სამწუხაროდ.

უშანგ ჯიჯინაძე

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

UEFA
EURO
2000

ახლა ბევრი სპეციალისტი აფასებს ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეთა შესაძლებლობებს. აზრები, ცხადია, სხვადასხვანაირია და ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავიც.

„A" ჯგუფში (გერმანია, რუმინეთი, პორტუგალია, ინგლისი), უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიიპყრო იმან, რომ გერმანიისა და ინგლისის ნაკრებები კვლავ ერთად მოხვდნენ. ინგლისელთა მწვრთნელმა კევინ კიგანმა ხუმრობით მიმართა კიდეც თავის გერმანელ კოლეგას ერიხ რიბეკს, ხომ არ აჯობებს სადმე ერთად გავემგზავროთ დასასვენებლად და ერთმანეთი უკეთ გავიცნოთო. ამავე დროს კიგანი სულაც არ არის უკმაყოფილო, რომ ასეთ ჯგუფში მოხვდა: „რთულ ჯგუფში ვთამაშობთ, მაგრამ არც დანარჩენები არიან უფრო იოლი მეტოქეები. გერმანელებთან ბევრი რამ საერთო გვაქვს, ისინიც, ჩვენი არ იყოს, არც ისე წარმატებით თამაშობდნენ შესარჩევ ტურნირში. მათაც, ისევე, როგორც ჩვენ, უნდა დაამტკიცონ თავიანთი ნამდვილი ძალა. რუმინელებს ჩამოყალიბებული გუნდი ჰყავთ, რომელმაც წელიწადნახევრის წინათ მსოფლიო პირველობაზე დაგვამარცხა. პორტუგალიელებს რამდენიმე მეტად ნიჭიერი მოთამაშე ჰყავთ. მათ არასოდეს მიუღწევიათ ისეთი დიდი წარმატებებისათვის, როგორის ღირსნი არიან. ევროპის ახლანდელი ჩემპიონატი პორტუგალიელებს ამის შესაძლებლობას აძლევს. ჩვენი შეხვედრა პორტუგალიელებთან ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან პირველი მატჩი ყოველთვის არკვევს მდგომარეობას."

სიმშვიდე შეინარჩუნა ერიხ რიბეკმაც, რომელმაც სინანული მხოლოდ იმის გამო გამოთქვა, რომ მატჩი ინგლისელებთან პატარა ქალაქ შარლეუაში გაიმართება. ამიტომ მისი ნახვის შესაძლებლობა ცოტა გულშემატკივარს თუ მიეცემა. „ჩვენ კიდევ ერთი შესაძლებლობა გვეძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ კვლავ დიდი საფეხბურთო სახელმწიფო ვართ. მატჩები ინგლისთან ყოველთვის კლასიკას მიეკუთვნება. პორტუგალიას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში შევხვდით და ვერც ერთხელ ვერ მოვუგეთ. ეს გახლავთ მეტად ტექნიკური გუნდი. დარჩენილ დროში შევეცდებით კარგად მოვემზადოთ და დავადგინოთ მეტოქეთა სუსტი მხარეები". პორტუგალიელთა მწვრთნელ უმბერტუ კოელიუს განცხადებით, მისთვის მთავარია, რომ ივნისისათვის ყველა წამყვანი მოთამაშე ჯანმრთელი იყოს. „მსოფლიო ჩემპიონატამდე საკმაოდ დიდი დრო რჩება, ჩვენი ფეხბურთელები კვლავინდებურად იტალიის და ესპანეთის ჩემპიონატებში თამაშობენ. ამ მხრივ, გერმანიისა და ინგლისის ნაკრებების მწვრთნელები უკეთეს მდგომარეობაში არიან. მათი ძირითადი მოთამაშეების უმეტესობა ხომ სამშობლოში გამოდის. თუკი ნაკრებების ძალაზე ვილაპარაკებთ, არა მგონია, რომ ჩვენ ვინმეს უნდა ვუფრთხილდეთ. დიახ, გერმანიამ, როგორც არ უნდა წარმართოს შესარჩევი თამაშები, ფინალში ყოველთვის ძალიან ძლიერად ატარებს შეხვედრებს. ინგლისი, უეფას დაბალი რეიტინგის მიუხედავად, ერთ-ერთი ფავორიტია. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია.

„B" ჯგუფში (ბელგია, შვეცია, თურქეთი, იტალია), საყოველთაო აზრით, ყველაზე უკეთესი შესაძლებლობები იტალიელებს აქვთ. ამიტომ მოულოდნელი იყო „სკუადრა აძურას" მწვრთნელ დინო ძოფის განცხადება, რომ შეიძლებოდა წილისყრა მისი ნაკრებისათვის უფრო იოლი გამომდგარიყო. თურქულმა „გალათასარაიმ" „მილანსა" და „ბოლონიას" ევროთასების გათამაშება დაატოვებინა, ისე რომ, ამ ქვეყნის ნაკრებს მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ, ისევე, როგორც ყველა სხვა მეტოქესაც. ბელგიამ ამას წინათ ამხანაგურ მატჩში დაგვამარცხა, და, საკუთარი მინდვრის უპირატესობაც აქვს. შვეციამ შესარჩევ ჯგუფში სულ ორი ქულა დაკარგა. ამ ნაკრებს თებერვალში ამხანაგურ მატჩში უნდა შევხვდეთ, იმედია, წილისყრის მიუხედავად, ამ მატჩს არ გააუქმებენ.

ბელგიელთა მწვრთნელი რობერ ვასეიჟი დაეთანხმა ძოფს, რომ ამ ჯგუფის შემადგენლობა საკმაოდ თანაბარია. „შვეცია, რომელთანაც პირველი მატჩი უნდა ვითამაშოთ, ძალიან ძლიერია, იტალიას დიდი ტრადიციები აქვს, თურქული ფეხბურთი კი დღეებით კი არა, საათებით იზრდება. შინ ვთამაშობთ და, ამდენად ერთგვარი უპირატესობაც გვექნება. მეორე მხრივ კი, ჩემი მოთამაშეები დიდი ზეწოლის ქვეშ იქნებიან. სიმშვიდის შენარჩუნება — აი, ამ ტურნირში წარმატების გარანტია". თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ განაცხადა, რომ კმაყოფილია წილისყრის შედეგებით: „დავმარცხდით ბელგიელებთან უკანასკნელ შეხვედრაში. ახლა კი, თუ მათი ფეხბურთის ახლანდელ დონეს გავითვალისწინებთ, რევანშის აღების მშვენიერი შესაძლებლობა გვეძლევა: იტალია ძლიერია, მაგრამ ჩვენმა კლუბებმა უკვე არაერთგზის სძლიეს იტალიელებს, რატომ არ უნდა მოვუგოთ ნაკრებების დონეზე? შვედებმა კარგად წარმართეს შესარჩევი ტურნირი, მაგრამ მათ საკმაოდ ცოტა გოლი გააქვთ. საერთოდ კი, ჩემი აზრით, მეოთხედფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობები გვაქვს".

„C" ჯგუფში (ესპანეთი, ნორვეგია, იუგოსლავია, სლოვენია) შექმნილი ვითარება ნორვეგიელთა მწვრთნელმა ნილს-იოჰან სემბმა ასე დაახასიათა: „ესპანეთი ფავორიტია, იუგოსლავია და ნორვეგია მას შეუპოვარ წინააღმდეგობას გაუწევენ. არა მგონია, სლოვენია ჯგუფიდან გავიდეს, მაგრამ, ამავე დროს, ეს კარგი გუნდია, ერთ მატჩში შეიძლება გაიმარჯვოს კიდეც. მისი დამარცხება რომ ძნელია, ეს შესარჩევ ჯგუფში ჩვენთან შეხვედრაში დაამტკიცა, პლეიოფში კი — უკრაინელებთან. ახლა ყველა გუნდის ძალა გათანაბრებულია. ხშირად ისეც ხდება, რომ კარგად ატარებთ შეხვედრას და მაინც აგებთ, ანდა პირიქით — არაფერი გამოგდით, მაგრამ მოულოდნელად მაინც გაგაქვთ ერთი გოლი და ამ უპირატესობას ინარჩუნებთ. თამაშის შედეგს ბევრი ნიუანსი განაპირობებს, სულ სამი მატჩი კია ჩასატარებელი. ისე რომ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს".

იუგოსლაველთა მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვი ფიქრობს, რომ ჯგუფის ფავორიტი ესპანეთია. „ბევრი შესანიშნავი მოთამაშე გვყავს, მაგრამ დიდი გუნდი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ჩვენი გუნდური თამაში ჯერ შორს არის სრულყოფისაგან. იმედი მაქვს, მეორე ადგილს მაინც დავიკავებთ, თუმცა ამის გაკეთება მეტად ძნელი იქნება. ნორვეგიის ნაკრების 18 ფეხბურთელი ინგლისის კლუბებში გამოდის, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ის მოთამაშეები კი, რომლებიც ნორვეგიაში გამოდიან, ზამთარში ისვენებენ და ზაფხულში ევროპის ჩემპიონატს ოპტიმალური ფიზიკური მზადყოფნით შეხვდებიან. სლოვენიელებთან შეხვედრაც ძალიან ძნელი იქნება, ეს თავისებური დერბი გახლავთ. სასიამოვნო იქნება სრეჩკოსთან შეხვედრა (ბოშკოვის ხელმძღვანელობით სლოვენიის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი 90-იანი წლების დასაწყისში გენუის „სამპდორიაში" თამაშობდა — *რედ.*), თუმცა ახლა, სამწუხაროდ, უკვე აღარა ვარ მისი ხელმძღვანელი და არ ვიცი, რას მოიფიქრებს ჩვენთან შეხვედრისათვის". თვით კატანეცმა კი განაცხადა, რომ ჯგუფში ბრძოლის შედეგის მიუხედავად, უკვე მისი ნაკრების ფინალში მონაწილეობის ფაქტი უდიდესი მიღწევაა. „სრულიად თავისუფლად ვითამაშებთ და, შეიძლება რაღაც სენსაციაც კი მოვახდინოთ. ისე კი, თუ გულახდილი ვიქნებით, ნაკლები შესაძლებლობები გვაქვს. ესპანელებსა და იუგოსლაველებს დიდი ფეხბურთელები ჰყავთ, ნორვეგიამ შესარჩევ ტურნირში ორივე მატჩი მოგვიგო — 2-1 და 4-0. ამასთან, ყველანი ხომ ვსწავლობთ, კიდევაც რომ წავაგოთ, ძვირფას გამოცდილებას შევიძენთ, რომელსაც ვერაფერი ცვლის".

„D" ჯგუფში (ჰოლანდია, ჩეხეთი, საფრანგეთი, დანია) გამოდის გათამაშების მთავარი ფავორიტი — ჰოლანდიის ნაკრები. მისმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა: „ახლა შეგვიძლია მიზანდასახულად მოვემზადოთ. საფრანგეთი მსოფლიო ჩემპიონია, და, თუმცა მისი თამაში ამ ბოლო ხანებში პრაქტიკულად არცკი მინახავს, საკუთარი ძალების დიდი რწმენა უნდა ჰქონდეს. თუნდაც ამის გამო ფრანგები ძალიან ძლიერები არიან. ჩეხებმა ამას წინათ ეინდჰოვენში დაამტკიცეს (1-1 ჰოლანდიელებთან), რომ სამი უძლიერესი მოთამაშის არყოფნის დროსაც ძალზე ანგარიშგასაწევნი არიან. დანიამ, ისევე, როგორც საფრანგეთმა, თავისი შესაძლებლობები მსოფლიო პირველობაზე აჩვენა. ამასთან ერთად, ვცდილობ მოთამაშეებს ჩავაგონო, რომ ჰოლანდიის ნაკრებს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია. თუ საქმეს ასეთნაირად მივუდგებით, შევძლებთ ფინალამდე მისვლას".

დანიელთა მწვრთნელი შვედი ბუ იუჰანსონი ოცნებობს დანიელებთან მუშაობა მაჟორულ ნოტაზე დაასრულოს (ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დანიელებს მორტენ ოლსენი ჩაუდგება სათავეში). მან გაგვახსენა, რომ რაც უფრო რთულია სიტუაცია და ჰყავს ძლიერი მეტოქეები, მისი გუნდი უკეთესად თამაშობს. „ფავორიტები ჰოლანდიელები და ფრანგები არიან, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენც გვაქვს კარგი შესაძლებლობები. ეტყობა, კარგია, რომ ჯერ ფრანგებთან ვთამაშობთ, შეგვიძლია მათი გაოცება".

ჩეხების მწვრთნელი იოზეფ ხოვანეცი ასე ფიქრობს: „ჯგუფის ნებისმიერ ნაკრებს შეუძლია მომდევნო წრეში გასვლა. ევროპის წინა ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ. ახლა შესარჩევ ტურნირში 10-ვე მატჩი მოვიგეთ. ვის უნდა გვეშინოდეს?"

მიმოხილვა მოამზადა
ბიბი თორელმა

მანუელ რუი კოშტა ბატისტუტასა და ტრაპატონიზე

რუი კოშტა

ფლორენციის „ფიორენტინას" გულშემატკივართა კერპი, რა თქმა უნდა, გაბრიელ ბატისტუტაა, მაგრამ გუნდში არის კიდევ ერთი შთამბეჭდავი ფიგურა, რომელიც პოპულარობაში ოდნავ თუ ჩამოუვარდება „ბატიგოლს" — ათნომრიანი მაისურით მოთამაშე მანუელ რუი კოშტა. ათნომრიანი მაისური კი ფლორენციელი ტიფოზებისათვის ასოცირდება ჯანკარლო ანტონიონის (მსოფლიო 1982 წლის ჩემპიონი) და რობერტო ბაჯოს სახელებთან. აი, ასეთ „ტვირთს დაეჭიდა" პორტუგალიელი ნახევარმცველი რუი კოშტა. იგი „ფიორენტინაში" 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა ლისაბონის „ბენფიკადან", მაგრამ რაიმე დიდი ტიტულები „იებში" ჯერ არ მოუპოვებია — მხოლოდ ბრწყინვალე მოთამაშის რეპუტაცია და გულშემატკივართა სიყვარული. ახლა „ფიორენტინას" ნაღდად შესწევს ძალა დიდი სიმაღლეების დასაპყრობად, ჯოვანი ტრაპატონის მეთაურობით თანამედროვე „ფიორენტინა" ყველაფრისთვის მზადაა, რაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ფლორენციელებმა უკვე დაამტკიცეს.

საშობაო-საახალწლო უქმეებამდე კი „**CORRIERE DELO SPORT**"-ში გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ მანუელ რუი კოშტასთან, რასაც შემოკლებული ვარიანტით გთავაზობთ.

● ***საკმაოდ მდიდარი ადამიანი ხართ, თუმცა არც თუ ისე მდიდარ ოჯახში იზრდებოდით...***

— ჩემი ბავშვობის მეგობრები ირწმუნებიან, რომ არ შევცვლილვარ, უბრალოდ, ახლა გაცილებით უფრო მეტი ფული მაქვს. მაგრამ ფული თვითმიზანი არაა. ის იმისათვის მჭირდება, რომ ჩემმა ოჯახმა უკეთესად იცხოვროს. ჩემი მშობლები მთელი ცხოვრება მუშაობდნენ, ახლა კი მსურს რომ დაისვენონ.

● ***რა გაკლდათ ბავშვობაში?***

— სათამაშოები არ მჭირდებოდა, რადგან თავისუფალ დროს მხოლოდ ფეხბურთს ვუთმობდი. მაკლდა ერთადერთი რამ — ძმა. უფულობის გამო მშობლები ვერ ახერხებდნენ მეორე ბავშვის ყოლას. მხოლოდ ბავშვობის შემდეგ შევიძინე ორი ძმა, რასაც ფეხბურთს უნდა ვუმადლოდე. პირველი მათგანი ჟოაუ პინტო გახლავთ, რომელთანაც „ბენფიკაში" ვთამაშობდი, მეორე კი ბატისტუტა. ხოლო ხუთი წელია, რაც ის ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა.

მაინც რა გაახლოვებთ ასე? — თამაში: ბატისტუტას ხომ ხშირად გააქვს გოლები ჩემი გადაცემებით. ხდება ხოლმე, როცა ფეხბურთელებს შური აზრჩობთ ბომბარდირების მიმართ. მე კი კმაყოფილი ვარ იმით, რომ ისეთ ფეხბურთელს ვამარაგებ საგოლე გადაცემებით, როგორიც ბატისტუტაა. გუნდის ფეხბურთელთაგან ყველაზე მეტი გოლი გააქვს და ბევრს ეჩვენება, რომ ყველანი „მასზე ვთამაშობთ". მაგრამ რატომღაც ბევრი ვერ ამჩნევს, რომ ბატისტუტაც გუნდისთვის ირჯება და ხშიად დაცვაშიც „ჩამოდის". ის ნამდვილი ლიდერია თამაშითაც და საბრძოლო ჟინითაც. მას ძალუძს სწორი-სწორზე ელაპარაკოს კლუბის პრეზიდენტ ჩეკი გორისაც და გუნდის ბაზის მუშა-მოსამსახურესაც. ხალხთან კი ასეთი დამოკიდებულება დიდად აქცევს ბატისტუტას, როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ. ყოველივე ეს ალბათ საკმარისია თქვენი შეკითხვის პასუხად.

● ***დღევანდელი „ფიორენტინა" მხოლოდ ბატისტუტა არაა — ჯოვანი ტრაპატონიც მნიშვნელოვანი ფიგურაა...***

— რა თქმა უნდა, ტრაპატონი დიდი მწვრთნელია, მაგრამ მანამდე მსურს ალბერტო მალეზანიზეც ვთქვა (ის ახლა „პარმას" თავკაცია — *რედ.*) ის „ფიორენტინაში" კლაუდიო რანიერის მერე მოვიდა და სწორედ მან მასწავლა თამაშის, ასე ვთქვათ, წაკითხვა.

● ***კი მაგრამ, ტრაპატონი?***

— ჩემს თავს ისეთ ადამიანად ვთვლი, რომელიც ყოველთვის გამარჯვებისთვისაა შემართული. ტრაპატონის კი ეს მოჭარბებულად აქვს. მან ბევრ დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ, როგორც ჩანს, გამარჯვებებით ვერა და ვერ ნაყრდება. მატჩში ყველანი ხედავთ თუ როგორ იქცევა ის, მაგრამ სულ სხვაა მატჩის წინ რომ ელაპარაკება ფეხბურთელებს — თუ როგორ განაწყობს ის მათ თამაშისთვის — ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია.

მოამზადა
„ლელოს" უცხოეთის განყოფილებამ

«მე კოლეგების სისუსტეებს ვიყენებ»

ამ სეზონში „ჰამბურგერ შპორტფერაინის" მეკარე ჰანს-იორგ ბუტი მიმომხილველების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. იგი არა მარტო ჩინებული გოლკიპერია, არამედ უშეცდომოდ იყენებს 11-მეტრიან დარტყმებს, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, არც ისე იოლი შესასრულებელი გახლავთ.

● *ფეხბურთის გულშემატკივრებს ყოველთვის აინტერესებთ, რატომ შეუდგა მეკარე ამ თავისთვის უჩვეულო მოვალეობის შესრულებას.*

— პენალტების დარტყმა ჯერ კიდევ ჩემს ადრინდელ კლუბ „ოლდენბურგში" დავიწყე, მაგრამ ამას მხოლოდ ვარჯიშების დროს ვაკეთებდი, როცა პენალტისტების კონკურსებში ვიმარჯვებდი. „ჰამბურგში" რომ დავიწყე თამაში, ერთხანს არაფერს ვამბობდი ამ ჩემი „გატაცების" შესახებ. როცა გუნდში გადაწყვიტეს საუკეთესო პენალტისტის გამოვლენა, მე არც კი მიმიწვიეს მასში მონაწილეობის მისაღებად. მეწყინა, თვით მოვითხოვე, რომ ჩემი შესაძლებლობებიც გაეგოთ და ყველას ვაჯობე. შარშანდელ სეზონში, როცა ყველა ჩვენს პენალტისტს მარცხი მოუვიდა, მე თვით ვითხოვე, რომ 11-მეტრიანების დარტყმა ჩემთვის დაევალებინათ. ამის შემდეგ, მართალია, 11-მეტრიანებით დარტყმულ ბურთებს მეც ვუშვებ, მაგრამ გამაქვს კიდეც.

● *არა ღელავდით, როცა პირველად მოგიხდათ 11-მეტრიანის დარტყმა?*

— მე მტკიცე ნერვები მაქვს. ისე კი 11-მეტრიან დარტყმაში რაიმე სპეციფიკური არც არის. მთავარია სიზუსტე.

● *თუკი ვერ გაიტანთ? ხომ არის საშიშროება დროზე ვერ დაუბრუნდეთ საკუთარ კარს?*

— ნუ ვილაპარაკებთ სევდიან თემაზე. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად გამომდის.

● *როცა მეკარე 11-მეტრიანს ურტყამს, მას აქვს უპირატესობა სხვა პენალტისტებთან შედარებით?*

— რა თქმა უნდა. მე, როგორც გოლკიპერმა ვიცი სუსტი ადგილები, უხერხული ზონები, რომელიც მინდვრის მოთამაშეებმა არ იციან. იმ ადგილას ვურტყამ, სადაც ჩემთვისაც დარტყმა არასასურველი იქნებოდა.

● *ინტერტოტოს თასზე „ჰამბურგმა" სწორედ პენალტების სერიით იგემა მარცხი „მონპელიესთან". თქვენმა თანაგუნდელმა ამხანაგებმა ერთხელაც კი ვერ აილეს კარი. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მინდვრის მოთამაშეები გადაეჩვივნენ პენალტის გამოყენებას?*

— ეტყობა, ისინი შეეჩვივნენ, რომ მათ სამუშაოს მეკარე ასრულებს, ამის გამო იყო, რომ მოეშვნენ. იმ სერიაში მე დარტყმა უნდა შემესრულებინა, მაგრამ უკვე აღარ მომიწია. კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე გამოიტანა სათანადო დასკვნები. ახლა პენალტის დარტყმას უკლებლივ ყველა მოთამაშე სწავლობს.

● *ზოგ ქვეყანაში მეკარეთა თავისებური სოლიდარობაა. ეთიკურად არ ითვლება, როცა მეკარეს თავისი კოლეგისათვის გოლი გააქვს.*

— მე რაიმე ასეთი პრობლემა არა მაქვს. მართალია, არიან მეკარეები, რომლებსაც არ მოსწონს ის, რასაც მე ვაკეთებ. სხვები ამას გულგრილად უყურებენ.

● *თქვენი სპორტული ბედი, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა ბუნდესლიგის მეკარისათვის. ნაკლებადცნობილი კლუბიდან მოხვედით და მაშინვე ძირითადი მეკარე გახდით, ამასთან, თქვენი კონკურენტი ძალიან ძლიერი მეკარე რიხარდ ჰოლცი იყო. გაგვიმხილეთ საიდუმლო, როგორ მოახერხეთ ასე სწრაფად დაწინაურება?*

— აქ რაიმე საიდუმლო არ არის. „ჰამბურგერ შპორტფერაინის" ახალმა მწვრთნელმა ფრანკ პაგელს დორფმა მაშინ შემამჩნია, როცა „ოლდენბურგში" ვთამაშობდი. 1997 წლის ზაფხულში, ჩემთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელად, „ჰამბურგში" მიმიწვიეს. ვიცოდი, რომ ბუნდესლიგაში თამაშის სხვა შესაძლებლობა შეიძლება არც გამომეჩინა, ამიტომ გაძლიერებით დავიწყე ვარჯიში. სეზონის დაწყების წინ პაგელსდორფმა გადაწყვიტა, რომ ჩემი მზადყოფნა უკეთესი იყო, ვიდრე ჰოლცისა. ამიტომ პირველ მატჩში სწორედ მე ვითამაშე. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი მატჩი გამოვტოვე.

● *ჰოლცის მიმართ უხერხულობის გრძნობა ხომ არა გაქვთ?*

— ეს ხომ სპორტია. მწვრთნელმა უფრო იცის, ვის უნდა ანდოს კარის დაცვა. რიხარდმა ბევრი გააკეთა „ჰამბურგისათვის", მე მიხარია, რომ შემდეგშიც კარგი სპორტული ბედი ჰქონდა. ახლა იგი „ფრაიბურგის" მეკარე და კაპიტანია. ჩვენ კი კარგი ურთიერთობა შევინარჩუნეთ.

ეს უიღბლო დიდი ფეხბურთელი

გ. გამრეკელი
გამოუქვეყნებელი წიგნიდან „უცხოური ფეხბურთის ვარსკვლავები"

ფეხბურთში ბევრი უცნაური რამ ხდება. რამდენს გამართლებია, რამდენს მიუღია იმაზე მეტი, რაც ეკუთვნის. ცხადია, მხოლოდ ერთ რამეს ვგულისხმობთ — წარმატებით, იღბლიანად წარმართულ კარიერას. მაგალითი კი უამრავია, ჩამოთვლას არ შევუდგებით.

ახლა სულ საპირისპირო მხარე ავიღოთ. დიდი, უნიჭიერესი ფეხბურთელის კარიერა რაღაც უცნაურად დამუხრუჭდება ხოლმე. ამასთან, ეს მხოლოდ ტრავმებთან როდია დაკავშირებული.

დღეს ასეთი დიდი, მაგრამ მაინც რამდენადმე უიღბლო ფეხბურთელის მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებთ. დიახ, სახელოვანი რობერტო ბაჯო ერთი გუნდიდან მეორეში გადადის და ეს ყოველთვის მისი სურვილით როდი ხდება. ისე კი, თითქოს რომელი პირველხარისხოვანი კლუბი არ ინატრებდა ასეთ ბრწყინვალე ოსტატს.

1985 წელს მთელი იტალია ალაპარაკდა 18 წლის ვუნდერქინდზე, რომელიც „ვიჩენცაში" სასწაულებს ახდენდა. ცხადი იყო, მას მოკრძალებულ „ვიჩენცაში" დიდხანს არავინ გააჩერებდა — ყმაწვილ რობერტოს აუცილებლად პირველხარისხოვან კლუბში უნდა ეთამაშა. „ვიჩენცას" პონტელოს კლანი განაგებდა, რომელმაც გადაწყვიტა ეს თავბრუდამხვევი თავდამსხმელი ხელსაყრელ ფასად გაეყიდა. „კლიენტიც" მალე გამოჩნდა — დიდად პოპულარული „ფიორენტინა", ანუ „იები". „ვიჩენცა" 4 მილიარდ ლირას მოითხოვდა, რაც იმ დროისათვის დიდი თანხა იყო, ახლა კი წარმოიდგინეთ, როცა პირველხარისხოვან თავდამსხმელების ტრანსფერზეა ლაპარაკი, ეს თანხა „ხურდა ფულად" იქცა. სეზონის მიწურულში რობერტო დაშავდა, „ვიჩენცამ" ფასი დაუკლო და „ფიორენტინისაგან" 3,7 მილიარდი ლირა მიიღო. ადგილობრივი „ტიფოზები" კი აღშფოთდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ.

ფლორენციაში რობერტო ბაჯო არაჩვეულებრივი პოპულარული გახდა. თუ „იები" იგებდნენ, ეს ხომ „კოდინოს" (პატარა კუდი) დამსახურება იყო. ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რატომ დაერქვა ბაჯოს ასეთი მეტსახელი. ისიც იციან, რომ რობერტომ, ცოტა არ იყოს, უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, კათოლიციზმს განუდგა და ბუდისტი გახდა. იტალიაში ბუდისტები, ალბათ, თითებზე ჩამოითვლებიან. ისიც ვთქვათ, რომ ამას ფლორენციელი გულშემატკივრებისათვის რაიმე მნიშვნელობა არა ჰქონია. ისინი „სტადიო კომუნალეზე" ბაჯოსათვის მიდიოდნენ, რომელმაც უკვე მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. მისი „საბაზრო ფასი" ყოველდღიურად იზრდებოდა და 11 მილიარდ ლირას მიაღწია.

„იების" ხელმძღვანელობა იტალიის ჩემპიონატში, როგორც ჩანს, იმ ხანებში დიდ მიზნებს არ ისახავდა და გადაწყვიტა თავისი ვარსკვლავი დიდ ფასად გაეყიდა. ეს გადაწყვეტილება „სკუადრა ვიოლას" დირექტორატმა 1989 წლის დეკემბერში მიიღო და ტურინის „იუვენტუსს" შეუთანხმდა კიდეც, რომელიც აღნიშნული თანხის გარდა, ფლორენციელებს (ისევ „ხურდას" ვახსენებთ) დამატების სახით რენატო ბუზოსაც მიაყოლებდა. თვით ბაჯოც დაიყოლიეს, მაგრამ როგორ გინდოდათ ამის შესახებ „ფიორენტინას" გულშემატკივრებისათვის გეცნობებინათ. ისინი ხომ შეიძლებოდა აჯანყებულიყვნენ, სტადიონსაც დაარბევდნენ და კოვერჩიანოს ბაზასაც. ამიტომ ასე გადაწყვიტეს, ბაჯო 1989-90 წლების სეზონს „ფიორენტინაში" დაამთავრებდა, შემდეგ კი როგორმე ტურინში გააპარებდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ აღელვებული „ტიფოზები" დირექტორატს მიუვარდნენ, შენობაც დაანგრიეს და მანქანებიც გადაწვეს. ისე კი „ფიორეს" მესვეურებმა ყველაფერი მოთამაშეს გადააბრალეს, ჩვენთან გაჩერება აღარ მოისურვაო, ფულს დახარბდაო და ა.შ. ამის შემდეგ „იუვენტუსი" ფლორენციელებისათვის ყველაზე უფრო საძულველი კლუბად იქცა, მისი თითოეული ჩამოსვლა ამ ქალაქში რთულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

„იუვენტუსის" გულშემატკივრებმა მყისვე შეიყვარეს „კოდინო". იგი ახლა უკვე „დელ ალპეს" სტადიონს „ავსებდა".. ბაჯომ შესანიშნავად ითამაშა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში, რომელიც იტალიაში ჩატარდა, კიდევ უკეთესად ოთხი წლის შემდეგ აშშ-ში, მსოფლიოს მორიგ პირველობაზე. იგი „იუვენტუსში" წლიურ ხელფასს მილიარდ ლირას იღებდა.

1995 წელს ბაჯოს პირველი, ფინანსებთან დაკავშირებული უსიამოვნება მოუვიდა. „იუვენტუსმა" უარი განაცხადა დაედო ახალი ხელშეკრულება რობერტოსთან, თუ იგი წელიწადში კვლავ უწინდელ თანხას მოითხოვდა, სთხოვა ცოტა ნაკლებით დაკმაყოფილებულიყო. ფეხბურთელმა ცოტა კი იუკადრისა („იუვენტუსი ამ დროს მომჭირნე საფინანსო პოლიტიკას ახორციელებდა), მაგრამ შეიძლება უარი არ ეთქვა, რომ „მილანი" არა.

როგორც კი „მილანის" მეპატრონემ სილვიო ბერლუსკონიმ გაიგო, „იუვენტუსსა" და „რ. ბაჯოს შორის რაღაც გაუგებრობა წარმოიშვაო, მყისვე მოინდომა „კოდინოს" დაუფლება. მან „ბებერ ქალბატონს" 18 მილიარდი ლირა შესთავაზა, თვით ფეხბურთელს კი იმაზე მეტიც კი, რასაც აქამდე „იუვენტუსი" უხდიდა — წელიწადში 3,5 მილიარდი ლირა. საინტერესოა ერთი რამ — ბერლუსკონი ყოველთვის უჯერებს მწვრთნელებს, მათ საქმეებში არასოდეს ერევა, ვინ უნდა გამოვიდეს მინდორზე და ვინ არა. მაგრამ, როგორც ყველა უმდიდრესი კოლექციონერი, ის არასოდეს იკავებს თავს, როცა რაიმე ლამაზ „ნივთს" წააწყდება აუცილებლად უნდა შეიძინოს. ამ შემთხვევაში, ფეხბურთელებზე თუ ვილაპარაკებთ, ბერლუსკონი გულცივი ვერაა ბრწყინვალე ტექნიკოსების მიმართ (გულიტი, სავიჩევიჩი). ცნობილია, რომ როცა მან სავიჩევიჩი იყიდა, იგი მწვრთნელ არიგო საკის, მეტისმეტად თავისნათქვამ კაცს, თურმე არც მოსწონდა და არც სჭირდებოდა. ბერლუსკონის არა სწყენია, არც მწვრთნელთან მოსვლია რაიმე უსიამოვნება.

ერთხანს ბაჯო „მილანში" ჩვეული ძალით თამაშობდა, თუმცა საკისთან ვერ დაამყარა ნორმალური ურთიერთობა. საქმე არც მაშინ გამოსწორებულა, როცა საკი კვლავ ფაბიო კაპელომ შეცვალა. 1997 წლის სეზონი რომ დამთავრდა, ბაჯოს არა ჰქონდა რაიმე გარანტია, რომ კვლავ „მილანში" დარჩებოდა.

საზაფხულო არდადეგებს ბაჯო ჩვეულებრივ არგენტინაში ატარებდა. როცა კი იტალიაში ჩამოფრინდა, ვენეციის აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა:

— ივნისის დასაწყისში ფაბიო კაპელოს ტელეფონით ველაპარაკე. მან აშკარად მაგრძნობინა, რომ ჩემი იმედი აღარა აქვს, „მილანი" ტრანსფერლისტზე მაყენებს.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი თავისებური რამ: სწორედ იმ სეზონის დამთავრების შემდეგ მიიღო რობერტომ სიმპათიის პრიზი „მილანის გული" შავ-წითლების კლუბის გულშემატკივრებისაგან! და ასეთი კაცი, უწინ ვიჩენცელების, ფლორენციელებისა და ტურინელების კერპი, ახლა მილანს უნდა გამოსთხოვებოდა.

სად უნდა გადასულიყო ამის შემდეგ „კოდინო"? იტალიის დატოვება არ მოინდომა, თორემ „ბარსელონის" პრეზიდენტი ნუნიესი წელიწადში 6 მილიარდ ლირასაც კი სთავაზობდა. აქ ბაჯოს ოჯახის საკითხი აფიქრებდა: არ უნდოდა ცოლითა და ორი მცირეწლოვანი შვილით სამშობლოს დატოვება.

თვით იტალიაში რამდენიმე კლუბმა გამოავლინა მეტ-ნაკლები ინტერესი ვარსკვლავისადმი. „ნაპოლი" კარგა ხანია ცდილობდა უწინდელი სახელის აღდგენას. ხომ გამოიყვანა იგი მძიმე მდგომარეობიდან მარადონამ, რომელმაც ჩემპიონობაც მოუპოვა. რატომ არ შეიძლებოდა იგივე გაეკეთებინა „კიდევ ერთ მარადონას"? მაგრამ ბაჯომ მეორე ლიგაში თამაშისაგან თავი შეიკავა. რაც შეეხება „ვიჩენცას", რომელთანაც სულ ახლოსაა ბაჯოს მშობლიური პატარა ქალაქი კალდონიო, ამ კლუბში თამაშიც ფეხბურთელმა შემდგომი დროისათვის გადადო და თქვა, რომ აქ თავისი კარიერის დამთავრებას აპირებს.

საბოლოოდ „კოდინო" „ბოლონიაში" აღმოჩნდა. ეს კლუბი, ახლანდელი შეფასებით, არც იტალიურ გრანდებს მიეკუთვნება და არც ისეთებს, მაღალი ეშელონის დატოვება რომ ემუქრებათ. ეს ისეთი გუნდია, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში არა, მაგრამ უეფას თასზე მონაწილეობის პრეტენზია აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც.

რა შეიძლება ითქვას „ბოლონიაში" ბაჯოს თამაშის შესახებ? იგი კლუბის უძლიერესი მოთამაშე იყო, მთელი თავით აღემატებოდა პარტნიორებს. ამავე დროს, თუ კლუბი მერვე ადგილზე გავიდა (ეს მისთვის ურიგო შედეგი არა ყოფილა), თვით „კოდინომ" 22 გოლი გაიტანა და სნაიპერთა შორის მესამე იყო. ეს იტალიელთა შორის საუკეთესო შედეგი იყო, რადგან მას მხოლოდ ბირჰოფმა (27 გოლი) და რონალდომ (25) გაუსწრეს. თვით ბაჯომ კი იმას მიაღწია, რომ ჩეზარე მალდინიმ კვლავ მიიწვია ნაკრებში, გააკეთა ის, რაც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ არიგო საკიმ საჭიროდ არ ჩათვალა.

— ჩემს მდგომარეობას სიტყვებით ვერცკი აღვწერ. ასრულდა ჩემი ოცნება — კვლავ დავიცავ მსოფლიო პირველობაზე იტალიის ნაკრების ღირსებას.

ახალგაზრდა ფილიპო ინძაგი და ვეტერანი რობერტო ბაჯო (მარჯვნივ) იტალიის ნაკრების მორიგი ვარჯიშის შემდეგ

აქ ერთი სტატისტიკური მონაცემის მოყვანაც არ გვაწყენდა: იმ 8 ბურთიდან, რომელიც იტალიის ნაკრებმა მსოფლიოს წინა ჩემპიონატებში გაიტანა, ექვსი სწორედ ბაჯოზე მოდიოდა. პირველივე მატჩში საფრანგეთში ჩილელებთან შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ იტალიელების დაცვას იმდენი შეცდომა მოუვიდა, რომ... საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ — 2-2 დასრულდა. 85-ე წუთზე ბაჯომ პენალტით გაათანაბრა ანგარიში. მეორე მატჩში კამერუნელებთან (3-0) ყველას დაამახსოვრდა რობერტოს უზუსტესი გადაცემები. განსაკუთრებით კარგი იყო ერთი, რომლის შედეგად ლუიჯი დი ბიაჯომ ანგარიში გახსნა და კრისტიან ვიერის ორი შემდგომი გოლიც რობერტოს ხელშეწყობით გავიდა.

ერთი სიტყვით ჩემპიონატში ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ იტალიელები მეოთხედფინალში მასპინძლებს, ფრანგებს არ გადაეყარნენ. აქ კი ჩეზარე მალდინიმ იფიქრა, რომ სათამაშო ხელოვნება ამ მატჩში არაფერ შუაში იქნებოდა და ნამდვილი შეხლა-შემოხლა, უხეშესი ბრძოლა გაიმართებოდა. ამიტომ რ. ბაჯო თავიდან ამ მატჩში არცკი მონაწილეობდა და მხოლოდ 67-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე. იტალიელების შუა ხაზი აშკარად მოისუსტებდა, რადგან პესოტო, დინო ბაჯო, დი ბიაჯო და მორიერო, ერთი ჟურნალისტის შენიშვნით, უფრო „ჩამშლელები არიან, ვიდრე შემოქმედები". ძირითადი დრო ფრედ — 0-0 დასრულდა. დამატებით დროში უკვე რ. ბაჯომ ვერ გამოიყენა გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობა. დაინიშნა პენალტების სერია. აქ. რ. ბაჯომ თავისი პენალტი კი გამოიყენა, მაგრამ ფრანგები უფრო ზუსტები იყვნენ და მოიგეს კიდეც — 4-3. საერთოდ, ამ ჩემპიონატში რ. ბაჯომ 4 მატჩში ითამაშა, მინდორზე 226 წუთი დაჰყო და 2 გოლი გაიტანა. მასზე უკეთესი შედეგი (5 გოლი) მხოლოდ ვიერის ჰქონდა.

აი რამდენიმე ნაწყვეტი ბაჯოს ინტერვიუდან, რომელიც მან „უორლდ სოკერის" კორესპოდენტს მისცა.

● ***როცა 11-მეტრიანის ნიშნულს უახლოვდებით, გაგონდებათ მსოფლიოს 1994 წლის ფინალური მატჩი?***

— დიახ. ის გამოუყენებელი პენალტი ძალიან დიდხანს მოსვენებას არ მაძლევდა. ეს ხომ ამ თითქმის ბოლო დრომდე უკანასკნელი პენალტი იყო, რომელიც ეროვნულ ნაკრებში დავარტყი — ძირითადად იმის გამო, რომ ამ ორი მსოფლიო ჩემპიონატის შუა პერიოდში „სკუადრა აძურაში" თითქმის არ მითამაშია.

● ***ამბობენ, დიდი მეტოქეობა გაქვთ დელ პიეროსთან?***

— მტკნარი სიცრუეა. არასოდეს ვემტერებოდით ერთმანეთს. პირიქით, დიდ პატივსაც ვცემთ — ამას მეტოქეობა არა ჰქვია.

● ***მოგწონდათ ამ ჩემპიონატში კრისტიან ვიერის თამაში?***

— იგი დიდებულად თამაშობდა. არ მეგონა, ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელი რომ გახდებოდა. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ფიზიკური სიმძლავრით. ადრე იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ეს მისი ერთადერთი ღირსება იყო. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ორივე ფეხით ჩინებულად ურტყამს და შესანიშნავი ტაქტიკური ალღოც აქვს. იგი მაღალია, მე კი არა. ამიტომაც, როგორი სტილითაც არ უნდა თამაშობდეს გუნდი, ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს მშვენივრად შევეწყოთ.

● ***იმ გოლებმა, რომლებიც ჩილესა და ავსტრიის ნაკრებების კარში მოათავსეთ პირველი იტალიელი ფეხბურთელი გაგხადათ, რომელმაც მსოფლიოს სამ ჩემპიონატში გაიტანა გოლები.***

— დიახ, ამით ვამაყობ კიდეც. ამ ჩემპიონატამდე მსოფლიო პირველობის ფინალურ ტურნირებში 8 გოლი მქონდა გატანილი, ერთით ნაკლები, ვიდრე პაოლო როსის. მინდოდა მისი რეკორდი მომეხსნა, რაც შევძელი კიდეც. ახლა შემდგომ მიზნად უნდა გახდეს ჯიჯი რივას რეკორდის მოხსნა. მან იტალიის ნაკრებში 35 გოლი გაიტანა, მე კი ჯერჯერობით მხოლოდ 26.

● ***შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე არა ფიქრობთ?***

— მსოფლიოს სამ ჩემპიონატში ვითამაშე. სამჯერვე გათამაშება მატჩის შემდგომი პენალტების სერიით დაგვატოვებინეს. ისე რომ, მეყოფა — აღარ ვითამაშებ მსოფლიო ჩემპიონატში.

● ***რა უთხარით ლუიჯი დი ბიაჯოს, როცა ფრანგების კარში გადამწყვეტი პენალტი ვერ გაიტანა?***

— იგი ძალიან შემეცოდა. მშვენივრად მესმოდა, რას გრძნობდა იმ მომენტში. ვუთხარი: „შენ უნდა იამაყო, რომ ვაჟკაცობა და სიმამაცე გამოიჩინე, როცა ორსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ პენალტის დარტყმა გადაწყვიტე. შენი საქციელი პატივისცემის ღირსია"... რაც შეეხება მე, სიმშვიდესა და ძალას ჩემი რელიგია, ბუდიზმი მაძლევს. მაგრამ ეს ხომ ჩემი საკუთარი გზაა.

● ***რა შეგიძლიათ მისცეთ „ინტერს" (სადაც ბაჯო მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა)?***



— მეტი ძალა შევეპვაში. აქ იმიტომ ვარ, რომ პარტნიორებს გოლის გატანაში დავეხმარო.

● ***მწვრთნელებს ან ძალიან უყვარხართ, ან ეჭავრებით. ასე არ არის?***

— ყველგან და ყოველთვის ვცდილობდი კეთილგანწყობის შეტანას. პრობლემები არავისთვის შემიქმნია. რა ვქნა, მინდა შევეგუო იმას, რომ ზოგ მწვრთნელს არა, ეს პრობლემა მაინც შეექმნება ხოლმე. ზოგს ჩემი პოპულარობისა შურდა და ცდილობდა სახელი მასაც ჰქონოდა. ამის გამო სრულიად შეგნებულად მიპირისპირდებოდა.

● ***„ბოლონიაში" „იუვენტუსის" წინააღმდეგ უნდა გეთამაშათ, მაგრამ სათადარიგოთა შორისაც კი არ შეგიყვანეს. მაშინ თქვენ საწვრთნელი ბაზა დატოვეთ. რატომ?***

— როცა მწვრთნელი 6 დღის გეუბნებათ, რომ აუცილებლად ითამაშებ და მეშვიდე დღეს სიტყვას ტეხს... ასეთ სიტუაციაში ყველა დატოვებდა გუნდს. თუმცა, შემდეგ მე და „ბოლონიის" მწვრთნელი ულივიერი მაინც შევრიგდით.

● ***„ინტერში" სამი წლის წინათაც შეგეძლოთ გადასულიყავით, როცა „მილანი" დატოვეთ...***

— როცა რაღაცას ამჯობინებთ, ყოველთვის დარწმუნებული ხართ, რომ სწორად იქცევით. ასე არ არის?

● ***„ინტერში" მაშინაც შეგეძლოთ გადასულიყავით, როცა „ბოლონიაში" კონფლიქტი მოგივიდათ. რატომ არ მოხდა ასე?***

— შუა სეზონში „ბოლონიას" ვერ დავტოვებდი. გულშემატკივრებმა ხომ იმიტომ იყიდეს 25 ათასი აბონემენტი, რომ ჩემი თამაშისათვის ედევნებინათ თვალი.

დიდ პატივს ვცემ ბოლონიას, აქაურ გულშემატკივრებს და კლუბის პრეზიდენტ გაძონის.

● ***გულშემატკივრებს ძალიან უყვარხართ და ყოველთვის თქვენს მხარეზე არიან. რატომ?***

— გულშემატკივრები ჩემს მხარეზე იმიტომ არიან, რომ იციან, რა გზა გავიარე ჩემს კარიერაში. რამდენი ტრავმა გადავიტანე....

● ***„ინტერის" ნახევარმცველი პაულუ სოუზა ამბობს, რომ ვეღარ ითმენს იმ მომენტამდე, როცა თქვენთან ერთად გამოვა მინდორზე.***

— პაულუ სოუზა შესანიშნავი მოთამაშეა. მასთან ერთად მოვიპოვეთ სკუდეტო 1995 წელს, როცა „იუვენტუსში" ვთამაშობდით. შევეცდებით ერთხელ კიდევ მივაღწიოთ ასეთ წარმატებას.

● ***მოდით, ნაკრების საქმეებს დავუბრუნდეთ. მას ახალი მწვრთნელი დინო ძოფი ჩაუდგა სათავეში. როგორ ფიქრობთ, აქვს მას თქვენი იმედი ევროპის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში?***

ერთხელ უკვე ვითამაშე ევროპის პირველობაზე და დიდ სიამოვნებასაც მივიღებდი, თუ კიდევ მომეცემოდა ამის შესაძლებლობა.

● ***ჩეზარე მალდინი ამბობს, ვერ გაუგია, რისთვის მოხსნეს. რას იტყვით ამის შესახებ?***

— თუ ეს მან თავად არ იცის, მე საიდან უნდა ვიცოდე?

(გაგრძელება იქნება)

კრივის ამბები

ლენოქს ლუისის მენეჯერები ეძებენ

ლენოქს ლუისი საყოველთაოდ აღიარებულია მსოფლიო ჩემპიონად, მაგრამ ამ წოდებას ხომ სამუდამოდ არ ანიჭებენ. ამიტომ მისი მენეჯერები ეძებენ სათანადო მეტოქეებს, იმათ, ვისაც შეუძლია მაყურებელი მიიზიდოს.

ევანდერ ჰოლიფილდი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან შეხვედრის საკითხი არა დგას. ინიციატივა თვით ამერიკელმა უნდა გამოიჩინოს, ის კი, ჯერჯერობით დუმს და თავის სამომავლო გეგმებზე არაფერს ამბობს.

ჰენრი აკინვანდე. ეს ფერადკანიანი ინგლისელი მოკრივე ერთხელ უკვე შეხვდა ლუისს, მეტისმეტად პასიურობდა და ცუდი შთაბეჭდილება დატოვა როგორც სპეციალისტებზე, ისე მაყურებლებზე. მასთან, ახალ შეხვედრაზე პრესაში ახლაც არის ლაპარაკი, მაგრამ როგორც ჩემპიონის მენეჯერი ფრენკ მელოუნი ფიქრობს, ეს მატჩი არავის დააინტერესებს.

მაიკლ გრანტი. ამ ამერიკელმა მოკრივემ, რომელმაც ერთი თვის წინათ მეათე რაუნდში ნოკაუტით მოუგო ანჯეი გოლოტას, სათანადო პრეტენზიები უკვე განაცხადა. საინტერესოა, რომ ამ ნოკაუტამდე პოლონელს დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ გაუფრთხილებლად მოიქცა.

ფრანსუა ბოტა. სამხრეთაფრიკელი უდავოდ შესანიშნავი მოკრივეა. შარშან მთელი ოთხი რაუნდის განმავლობაში ქულებით უგებდა მაიკ ტაისონს, რომელიც ნელა მოძრაობდა და რამდენიმე მძიმე დარტყმაც მიიღო. ასე არ უნდაო და მეხუთე რაუნდში „რკინის მაიკმა" უძლიერესი დარტყმით ნოკაუტში გაისტუმრა, ცოტა არ იყოს, გათამამებული ბოტა.

მაიკ ტაისონი. როგორც თვით ლენოქს ლუისი ფიქრობს, ყველაზე სასურველი უახლოესი მეტოქე, სწორედ მაიკ ტაისონი იქნება. „ეს დიდი ბრძოლა იქნება. მე და მაიკი თანამედროვეობის ორი უდიდესი მოკრივეები ვართ. მატჩი კრივის ისტორიას დაამშვენებს. იმედს გამოვთქვამ, რომ იგი მალე შედგება".

მაიკლ მურერმა დაამარცხა... თავისი პაპა

ერთ საათზე ნაკლები დრო დასჭირდათ მსაჯულებს, რათა გაერჩიათ სარჩელი, რომელიც წარმოადგინა განთქმული მძიმეწონოსანი ამერიკელი მოკრივის, მაიკლ მურერის პაპამ, 76 წლის ჰენრი სმითმა. სმითი ყოფილი მოკრივე, ამჟამად კი მეფოლადე ირწმუნებოდა, რომ სწორედ იგი იყო შვილიშვილის პირველი მწვრთნელი და 1986 წელს მასთან პირველი ხელშეკრულებაც დადო, კონტრაქტის ძალით, მოკრივეს მისთვის ჰონორარების 25% უნდა გადაეხადა იმის გამო, რომ მაიკლ მურერი არ ასრულებდა ამ პირობას, პაპამ ერთბაშად ერთი მილიონი დოლარი მოითხოვა. მურერმა დაარწმუნა მოსამართლეები, რომ კონტრაქტი 1988 წელს გაუქმდა, როცა იგი პროფესიონალი გახდა. მან ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ამჯერად ემანუელ სტიუარტთან, ეს „მატჩი" პაპასთან მაიკლ მურერის გამარჯვებით დასრულდა.

ბაკურიანი-2000





ბაკურიანი – ჩვენი ქვეყნის ეს „თეთრი მარგალიტი" – კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და დამშვენებული შეეგება ახალ 2000 წელს. დამსვენებელთა ნაკადი არ წყდება – მათ განკარგულებაშია საუკეთესო სასტუმროები, კოტეჯები, კერძო სახლები, გაიზარდა გართობა-დასვენების შესაძლებლობები. სულ მალე სპორტული ასპარეზობების დროც დადგება.

სასტიკად დაისჯება

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალთა შორის ტომი მორისონი, როგორც იტყვიან, პოლიციის მუდმივი „კლიენტი" გახდა.

სექტემბერში მორისონი დააპატიმრეს, როცა მას ნარკოტიკებთან (კოკაინი, ჰეროინი, მარიხუანა) ერთად არარეგისტრირებული იარაღიც აღმოაჩნდა. მაშინ როგორღაც მოახერხა თავის დაღწევა. დეკემბერში მას კვლავ აღმოუჩინეს ნარკოტიკები, ამავე დროს ყოფილი მოკრივე მანქანას ინტოქსიკაციურ მდგმარეობაში მართავდა. ახლა უფრო მკაცრად მოექცევიან. მორისონის საბუთების გარჩევისას აღმოჩნდა, რომ იგი ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაქცევას აპრებდა, თუმცა პირობა ჰქონდა მიცემული, რომ ქვეყანას არ დატოვებდა. ეს პირობა პირველი დაპატიმრების დროს დადო.

(ჯეკი) ფრეზერი – (ლეილა) ალი – მამების დავის გაგრძელება?

ჯო ფრეზერმა პირველად კრივის სამყაროს ყურადღება 1964 წელს მიიქცია ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა. გაცილებით უფრო დიდი წარმატება მას მოგვიანებით ჰქონდა, როცა თვით მუჰამედ ალი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. თუმცა, შემდგომი ორი ბრძოლა უკვე ალის გამარჯვებით დასრულდა.

ვინ იფიქრებდა, რომ მრავალი წლის შემდეგ მამების დავას უკვე მათი ქალიშვილები გააგრძელებდნენ. ლეილა ალი (21 წლის, 177, 5 სმ, 76 კგ) არც ისე დიდი ხნის წინათ გახდა პროფესიონალი მოკრივე. უკვე სამი ბრძოლა გამართა და სამივე ნოკაუტით მოიგო. ერთი სიტყვით, სპორტული სამყარო ეჩვევა იმას, რომ არის ასეთი, საკმაოდ იღბლიანი მოკრივე ქალი.

ჯეკი ფრეზერი (38 წლის, 175 სმ, 84 კგ) აქამდე პროფესიონალი იურისტი იყო, ახლა კი „სისხლმა უყივლა". უკვე გამოცხადდა, რომ 22 აპრილს იგი თავის პირველ ბრძოლას გამართავს პეკინში პროფესიულ რინგზე. მართალია, მეტოქის სახელი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ჯეკი ფრეზერს სურს მაინცა და მაინც ლეილა ალის შეხვდეს და აცხადებს, რომ ეს დიდებული ბრძოლა იქნება. „მას რინგზე გავგორებ".

ერთი სიტყვით, სახელოვანი მამების მეტოქეობა მრავალი წლის შემდეგ გრძელდება სულ სხვა ფორმით.

ცზიუ – შორს მიმავალი გეგმები

როგორც ცნობილია, რუსეთის ყოფილი ჩემპიონი პირველ ნახევრადსაშუალო წონაში კონსტანტინ ცზიუ ავსტრალიის მოქალაქეა და ახლა მსოფლიო ჩემპიონის წოდებასაც ატარებს WBC-ს ვერსიით.

12 თებერვალს იგი კონექტიკუტის შტატში დაიცავს ამ წოდებას. მექსიკელი აჰმედ სანტოსის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუკი ცზიუმ ეს მატჩი მოიგო, იგი აპირებს შეხვდეს უკვე ლეგენდად ქცეულ მოკრივეს – მექსიკელ ხულიო სესარ ჩავესს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უძლეველი იყო.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



4 იანვარი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. საფეხბურთო მიმოხილვა (13.15), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** საფეხბურთო არდადეგების დღეებში: მსოფლიო ჩემპიონატი-98 რუმინეთი-ინგლისი (13.15), აშშ-ირანი (17.15, 20.35) ინგლისის ჩემპიონატი (15.30, 23.55) ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (14.00) ლეიკესტერ სიტი – ევერტონი (16.00), ჩელსი – კოვენტრი, პირდაპირი ტრანსლაცია (0.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი: ჩრდილოეთის კომბინაცია (11.30), ბიატლონი (13.00), ტრამპლინიდან ხტომა (14.00), ფეხბურთი. აფრიკის თასი (17.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00). ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (2.00).

5 იანვარი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. დრიბლინგი (14.10), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი (13.15, 21.05). საფეხბურთო არდადეგების დღეებში მსოფლიო ჩემპიონატი -98 (15.00, 19.15). „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები". გ. მიულერი (18.10). მატჩი არჩევნით. იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატებიდან (23.25), არჩევანში დამარცხებული მატჩი (1.35). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (11.30, 23.00), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. ჩელსი – კოვენტრი (16.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. ტრამპლინიდან ხტომა (11.30, 16.45, 21.00), სამთო თხილამურები (13.00, 16.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი საკლუბო გუნდებს შორის, ბრაზილიიდან (2.00).

6 იანვარი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. XX საუკუნის ქართველი სპორტსმენი (16.20), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატი (13.15, 17.55), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.10), ესპანეთის ჩემპიონატი (16.10, 23.55), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები". ა. შევჩენკო (20.50), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (13.30, 23.45), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (23.00). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (12.30), იტალიიდან: ლაციო – ვენეცია (14.00), ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (16.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი: ტრამპლინი. ოთხთა ტურნირი, ავსტრიიდან (11.30, 16.30, 21.00), სამთო თხილამურები (13.00), ბიატლონი (13.45, 18.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი საკლუბო გუნდებს შორის (23.30, 2.00), კრივი, საერთაშორისო შეჯიბრება (0.30).

კროსვორდი №1



თარაზულად: 4. შეჯიბრება რამდენიმე სპორტსმენს, ან გუნდებს შორის, 6. ფეხბურთში 1998 წლის მ/ჩ-ზე ნორვეგიელთა თავდამსხმელი, 9. მწვერვალი სამხრეთ კავკასიონზე, 10. ტერმინი კარატეში, 11. ცნობილი ნიგერიელი ფეხბურთელი, 12. საქართველოს საფეხბურთო გუნდი, 13. გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 15. პარაგვაის ნაკრებში მოთამაშე ბენიტესის კლუბი, 16. უკრაინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 20. მაროკოელთა ნახევარმცველი 1998 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე, 21. ესპანელთა მცველი 1998 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე, 23. რაგბის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 25. იტალიის საფეხბურთო გუნდი, 26. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 27. ესპანელი ვეტერანი ფეხბურთელი (მ/ჩ 1966), 29. ქ. ფრუნზეს ყოფილი საფეხბურთო გუნდი, 31. ინგლისელი ნახევარმცველი 1998 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე, 32. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში, 34. იაპონელი ფეხბურთელი, 35. ძიუდოს ხალიჩა, 36. მორბენლებით განთქმული ქვეყანა აფრიკაში, 38. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 1. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 2. ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე, 3. ბრაზილიის საფეხბურთო გუნდი, 5. ალპინისტების მარშრუტი მთაგრეხილებში, 7. ინგლისელი ვეტერანი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 8. იტალიის ნაკრების თავდამსხმელი (მ/ჩ, 1998), 14. სპორტის საწყლოსნო სახეობა, 17. ჩელსის იტალიელი მწვრთნელი, 18. ბილიარდის ჯოხი, 19. რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელი (მ/ჩ, 1998), 20. მაროკოს საფეხბურთო ნაკრების წევრი (მ/ჩ, 1998), 22. ადგილი, სადაც დასაბამი მიეცა ანტიკურ ოლიმპიადას, 24. ცურვის ყაიდა, 28. მთა, რომლის სახელი უკავშირდება ანტიკური ოლიმპიადებს, 30. ჩილელი ფეხბურთელი მ/ჩ 1998 მონაწილე, 33. ფეხბურთში მ/ჩ (1998) მონაწილე ქვეყანა, 37. არგენტინის ფეხბურთელი-მეკარე (მ/ჩ 1998).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. კოტორაშვილი, 5-6. ინასარიძე, კაციტაძე, 9. ტალახაძე, 10. კაკაბაძე, 12. ბილიხოძე, 13. ობოლაძე, 16. ნეფარიძე, 18. თავაძე, 21. გულისაშვილი, 23. აბაიშვილი, 25. ახვლედიანი, 26. ჭელიძე, 27. ნიკოლაიშვილი, 28. აკოფოვი. **შვეულად:** 1. ქლიბაძე, 2. კვარაცხელია, 3. დანელია, 4. გელაშვილი, 7. ცაბაძე, 8. ჯაფარიძე, 11. კახიძე, 14. გენგიური, 15. ბაბუნაშვილი, 17. რატიშვილი, 19. ჯაში, 20. ასათიანი, 22. ნოზაძე, 24. ქირია.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემია

აცხადებს

კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

1. ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა დისციპლინების კათედრაზე:

— კათედრის უფრ. მასწავლებლის — ფილოსოფიის მეც. კანდიდატის — 0,5 გან. ფილოსოფიის საგნის სპეციალობაში.

2. ქართული და უცხო ენების კათედრაზე:

— კათედრის დოცენტის — 0,5 განაკვეთზე, ფრანგული ენის სპეციალობით;

— კათედრის უფრ. მასწავლებლის — 0,5 გან. გერმანული ენის სპეციალობით;

— კათედრის მასწავლებლის — 0,5 განაკეთზე, რუსული ენის სპეციალობით;

3. ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრაზე:

— კათედრის მასწავლებლის — 1 ერთეული, ფიზიოლოგიის საგნის სპეციალობით;

4. სპორტული მედიცინის კათედრაზე:

— კათედრის უფრ. მასწავლებლის — პედ. მეცნ. კანდიდატის — 1 ერთეული; სპორტ. მასაჟის სპეციალობით;

— კათედრის მასწავლებლის — 0,5 განაკვეთი, სპორტული მედიცინის სპეციალობით;

5. ბიომექანიკისა და მეტროლოგიის კათედრაზე:

— კათედრის უფრ. მასწავლებლის — ფიზიკის მეცნ. კანდიდატის 1 ერთეული, ბიომექანიკის საგნის სპეციალობით.

6. პედაგოგიკა — ფსიქოლოგიის კათედრაზე:

— კათედრის უფრ. მასწავლებლის — 1 ერთეული, პედაგოგიკის საგანში.

კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №49.
ტელეფონი: 23-09-02.

აკადემიის რექტორატი

რა ხდება ქვეყანაზე

დები უქმად არ ცდებიან

აშკარად არ არიან უარზე ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელები დები უილიამსები ბედი რომ სცადონ ტელეეკრანზე გამოსვლით. ქალთა ტურნირების კალენდარში ერთთვიანი არდადეგები სურთ გამოიყენონ ამერიკული ტელევიზიის პოპულარული პროგრამების ერთ-ერთ გადაცემაში მონაწილეობისათვის, რომლის გადაღება გაიმართა ლოს-ანჯელესში.

VENUS & SERENA WILLIAMS

სურათზე: *დები უილიამსები ვინუსი (მარცხნივ) და სერენა.*

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



მატი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლb6! — 2. მd6+ მფ:d5 3. კc4X.
1. ...მფ:d5 2. კd3 — 3. ლd6X.
1. ...მფ:f5 2. კf3 — 3. ლf6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ: 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხომერიკი. შემსრულებლები: ძაბული წიწერია, ნანა რამიშვილი. ოპერატორ-პროგრამისტი ირინა ხიდაშელი.